# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 მარტი 2005 №62 (2385) ფასი 50 თეთრი


# ჟირესმა საქართველო დიდგოლისთვის შეკრიბა



საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის 21 რჩეული დღეს თბილისში იქნება და „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშებს.

წუხელ ჟირესის ხელქვეით 16 ფეხბურთელი იყო, თუმც როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, უკვე ჩამოსულები იქნებიან „მილანის" მცველი კახა კალაძე და ბერძნული „ქსანთის" ჰავბეკი ლევან მაღრაძე. ნაკრებს ნაშუადღევს შეუერთდებიან ვლადიკავკაზის „ალანიას" ქართველები — ლადო ბურდული, გიორგი შაშიაშვილი და დავით კვირკველია, ხოლო სალამოსთვის ელიან ფრაიბურგელ ლევან ცქიტიშვილს, ვისაც გრიპის ვირუსი შეჰრია და თანაგუნდელებს, ალექსანდრე იაშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილს ვერ გამოჰყვა. სავარაუდოდ, ცქიტიშვილი ვერც 26 მარტს ითამაშებს საბერძნეთთან, მისი იმედი ჟირესს 30 მარტს თურქებთან უფრო უნდა ჰქონდეს.

ისევ გადაიდო ჰოლანდიური „ტვენტეს" ნახევარმცველის გოგა გახოკიძის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება. მას კუნთი აქვს დაჭიმული და ჰოლანდიაში დარჩა.

საქართველოს ნაკრები დღევანდელი დილის ვარჯიშის შემდეგ სასტუმრო „ბატესტაში" სამ საათზე შეიკრიბება, ოთხის ნახევარზე ალენ ჟირესის პრესკონფერენცია იგეგმება, ოთხზე ისევ ვარჯიშია...

სანაკრებო ციებ-ცხელება დაიწყო.

# კალაძის ანტიკური პერიოდი

## კახამ მილანს რომაელები დაამარცხებინა, ქართველებს ბერძნები გვინდა



— კალაძემ ჩინებული პასი ჩააწოდა კრესპოს და მთლიანობაში ძალიან კარგად გამოიყურებოდა... — ეს სიტყვები მილანელთა მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის ეკუთვნის და „რომასა" და „მილანის" შეხვედრაში საქართველოს ნაკრების კაპიტნის თამაშს ეხება.

კალაძე იტალიელმა ჟურნალისტებმა იმ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მისი შემდეგი მატჩი შაბათს საქართველო — საბერძნეთია...



# კონტრრევოლუცია უკრაინაში

ოლეგ ბლოხინი უკრაინის ეროვნული გუნდის მწვრთნელია და საქმიანობასაც გააგრძელებს — ამონარიდი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის გუშინწინდელი სხდომის ოფიციალური ოქმიდან.

რაშია საქმე? უკრაინელმა ხალხმა რადას წინააღმდეგ გაილაშქრა. პარლამენტის წინ შეკრებილი ათასობით ქომაგის მოთხოვნამ შედეგი გამოიღო.

ფედერაციის ალმასკომი პრეზიდენტ გრიგორი სურკისის თამადობით საგანგებოდ შეიკრიბა ერთადერთი საკითხის განსახილველად.

და ალმასკომმაც სრული 29 ხმით მხარდაჭერა გამოუცხადა ბლოხინს.



## უდაბნოს მირაჟი

ჰიჩამ ელ გურუჯის ამბავი

14



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ გუშინ ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც საბერძნეთთან და თურქეთთან შესარჩევი მატჩებისთვის მოამზადებს.

ტყებუჩავამ გუნდი საქართველოს ნაკრების ბაზაზე უკვე შეკრიბა და ხეირიანი მინდვრების დეფიციტის გამო იქვე, უვარგის მოედანზე ავარჯიშა. გუნდს სამი ფეხბურთელი აკლდა: ჯაბა კანკავა, სანდრო გურული და მამუკა ლომიძე თანაგუნდელებს დღეს შეუერთდებიან. გოჩა ტყებუჩავას რჩეულთა შორის ერთი დებიუტანტია — ბოლნისის „სიონის" მეკარე მინდია ბობლიაშვილი. არის დანაკლისიც: ბერძნებთან და თურქებთან ვერ ითამაშებს ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ტრავმირებული ფორვარდი ირაკლი მოდებაძე. დისკვალიფიკაციის გამო ბერძნებთან დასვენება მოუწევს მცველ გიორგი ციმაკურიძეს, რომელიც ალბანეთთან მატჩისას გააძევეს. საყრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა კი ალენ ჟირესს ეროვნულ გუნდში ჰყავს გამოძახებული

# ტყებუჩავამ ნაკრებს დამრიგებელი უშოვა

— გუშინ და დღეს მთელი თბილისი შემოვიარეთ და სავარჯიშოდ ნორმალური მოედანი ვერ ვნახეთ. ბოლოს თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე ვარჯიში გადავწყვიტეთ, მაგრამ გვკითხრეს, ბერძნებს და თურქებს ველით და ვიდრე ისინი ჩამოვლენ, მოედანს ვასვენებთო. რა გვექნა, იძულებული გავხდით, აქვე ჩაგვეტარებინა პირველი ვარჯიში — თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე გოჩა ტყებუჩავამ — ერთი შეხედვით, ეს მოედანი ნორმალური ჩანდა, მაგრამ... ხვალ გუნდს აქ აღარ ვავარჯიშებ. საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე გადავინაცვლებთ.

— ამ ორ მატჩში ექვსი ქულის მოპოვებას ვგეგმავთ და თუ ასე მოხდა, სატურნირო მდგომარეობასაც გამოვისწორებთ. ყველაზე ცუდ შემოხვევაში ოთხი ქულა მაინც უნდა ავიღოთ.

— ორივე მატჩი „ოლიმპის" სტადიონზე გვსურდა გაგვემართა, მაგრამ იქ გასახდელების პრობლემაა და ამიტომაც „ეროვნულზე" თამაში გადავწყვიტეთ.

— საბერძნეთის ნაკრებზე საკმაო ინფორმაცია მაქვს. ბერძნებს თბილისში დააკლდებათ კაპიტანი და ლიდერი ანგელოს ვენციუსი, ის დისკვალიფიცირებულია. სტუმრებს ეყოლებათ ოთხი ისეთი ფეხბურთელიც, რომლებსაც დანიასთან 0:1 წაგებულ მატჩში არ უთამაშიათ.

— მსურს, შეკრებაზე მოვიწვიო ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო. ეგებ, მან მსაჯის ენაზე უკეთ აუხსნას ჩვენს ფეხბურთელებს, რა არის ხისტი თამაში და რა უხეშობა. ვიმედოვნებ, ამ ორ მატჩს ჩვენი გუნდი 11 ფეხბურთელით ჩაამთავრებს...

გოჩა ტყებუჩავამ 22 ფეხბურთელის გარდა ხუთკაციანი დამატებითი სიაც გაგვაცნო, ემანდ, გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ვინმე თუ დაგვაკლდა, ამათგან რომელიმეს დავიმატებთო: დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით გიგაური, (ლოკომოტივი), პაატა ჩოხელი (ბათუმი), შოთა ჯიქია, ბექა ჟღენტი (ორივე თბილისი).

შეგახსენებთ, რომ ბერძნებთან 25 მარტის თამაში „ეროვნულზე" უმაყურებლოდ ჩატარდება. ასეთია გადაწყვეტილება, რომელიც ფიფამ საქართველო — დანიის ახალგაზრდების მატჩისას მომხდარი უწესრიგობის გამო მიიღო. ტრიბუნაზე იქნებიან ოდენ მეტოქეთა წარმომადგენლები — 75-75 კაცი — და ჟურნალისტები...

**ძოზა ინასარიძე**

*მეკარეები:* *ირაკლი თოთლაძე (ბათუმი), მინდია ბობლიაშვილი (სიონი), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო);*

*მცველები:* *გიორგი ციმაკურიძე (სტალი, უკრაინა), თენგიზ ჩიკვილაძე (ზესტაფონი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), მამუკა ლომიძე (ჩკალოვეცი, რუსეთი), ბესიკ მიქაშვილი (თბილისი), დავით ჭილაძე (სუდუვა, ლიტვა), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), შოთა კაშია (დინამო);*

*ნახევარმცველები:* *გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე (დინამო), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), რევაზ გეწაძე (თბილისი), გოჩა ხოჯავა (ანართოსისი, კვიპროსი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), მიხეილ ბესარაშვილი (ზესტაფონი);*

*თავდამსხმელები:* *ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია), სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე (ლოკომოტივი, რუსეთი), სანდრო იაშვილი (თბილისი), ირაკლი ებანოიძე (ვიტ ჯორჯია).*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მეორე წრე. 16 19 ტური

# ერთი შეხვედრა ორი მასპინძლით

**პაპუნა კიდია**

**თბილისი. 21 მარტი. 14 საათი. ფძ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი**

**ლოკომოტივი-2 1:5 ამერი**

0:1, 0:2 დავითაშვილი (35, 42), 0:3 დეკანოსიძე (81პ), 0:4 წინამძღვრიშვილი (84), 1:4 ვაშაკიძე (85პ), 1:5 წინამძღვრიშვილი (90)

**ლოკომოტივი 2:** ზუხბაია, ხორავა, კობახიძე, დაუთაშვილი, ფოფხაძე, ბენდელიანი, ჩივაძე (ვაშაკიძე 72), ფირცხალავა (ლობჟანიძე 46), ავალიშვილი, ალავერდაშვილი (მხეიძე 60), ჟღენტი
**მწვრთნელი:** გიორგი ქავთარაძე

**ამერი:** ნაჭყეპია, დავითნიძე, ხვადაგიანი, დეკანოსიძე, ბერიანიძე, ზ. ჯელაძე, ჩხეტიანი (სილაგავა 63), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი (ბუალავა 82), დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 77), ხევასტოპული
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ფიფია, ზ. ხუციშვილი; დ. კვეტენაძე

გლდანში „ლოკომოტივი 2"-ისა და „ამერის" შეხვედრას სუსტი მზე და ცივი ქარი დაესწრნენ, რომელთაც მატჩს, რომელიც, მართალია, „ამერის სკოლაში ჩატარდა, მაგრამ, ოქმის მიხედვით, მასპინძელი „ლოკომოტივი" იყო, ბოლომდე უერთგულეს. სარბიელის გამოცვლა რაღაც ტექნიკურ პრობლემებით იყო განპირობებული და მხარეთა შეთანხმებით მოხდა — მნიშვნელოვანი არაფერი.

გარდა ქარისა და მზისა, პირველივე წუთიდან თმებმაც მიიპყრო ყურადღება. ადრე, თუნდაც ამ ათი წლის წინ, საქართველოში ყველა მამაკაცი მოკლედ შეკრეჭილი დადიოდა, ახლა კი ინდივიდუალობამ იმატა და თმას ყველა თავის გემოზე ივარცხნის. ამან თავის მხრივ გამოავლინა, რომ ერში ბევრი ხუჭუჭა და ხვეულთმიანი გვყოლია — მაგალითად, შეხვედრაში, რომლის მიმოხილვასაც კითხულობთ, საწყისი ოცდაორი კაციდან რვა სწორედ ასეთი გახლდათ.

თამაში „ამერის" უპირატესობით ჩატარდა, რასაც გოლების გარდა მომენტების რაოდენობაც ადასტურებდა. თუ ოქმს დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ბოლო ათი წუთი სამგოლიანი გამოდგა, ანუ ჯამური ექვსი გოლის ნახევარი სწორედ ამ მონაკვეთში გავიდა. დავძენთ, რომ დროის ამავე მონაკვეთში გავიდა კიდევ ერთი გოლი, რომელიც „ლოკომოტივმა" გაიტანა, მაგრამ ოფსაიდის გამო არ ჩაითვალა. ანუ ვფიქრობთ, თამაშის მიწურულს შედეგს შეგუებულმა მეტოქეებმა თავს დაცვაში მოდუნების უფლება მისცეს.

„ამერიდან" ორი გოლი სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, ორი შეცვლაზე შესულმა ახალგაზრდა რატი წინამძღვრიშვილმა, ხოლო ერთი, პენალტით, გიორგი დეკანოსიძემ. აღსანიშნავია მარჯვენა ნახევარმცველის გიზო ჯელაძის აქტიურობა და დაჟინებაც. ორი საგოლე პასი თავისი ფრთიდან სწორედ მან ჩააწოდა და ამის გარდა რამდენიმე სახიფათო მომენტი მის გარღვევებს და ჩაკიდებებს მოჰყვა. დავძინოთ, რომ დავითაშვილის მეორე, თავური გოლი ამერელთა შეტევის მარჯვენა ფრთიდან, ოღონდ ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს მოჰყვა.

„ლოკომოტივმა" პენალტით შეაგდო. ეს გოლი „ამერის" მეოთხეს წამებში მოჰყვა — გიორგი დავითნიძემ გიორგი მხეიძე წააქცია საჯარიმოში, ხოლო შეცვლაზე ახალშესულმა ნიკა ვაშაკიძემ ყოყმანისა და ეჭვის გარეშე დაარტყა. რაც შეეხება ოქმით მასპინძელთა და სტადიონით სტუმართა ყველაზე მწვავე მომენტს, ის დავით დათუაშვილის დარტყმას მოჰყვა, ოღონდ ამ ეპიზოდში კარი მეკარე რეზო ნაჭყეპიამ იხსნა — ზედ ხარიხისა და ძელის შეერთების ადგილთან შეწვდა ბურთს. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვახსენოთ „ლოკომოტივის" გოლკიპერი ვლადიმერ ზუხბაიაც, რომელმაც ერთ-ორ შეცდომასთან ერთად ერთი-ორი ჩინებული რეაქციითაც დაამახსოვრა გულშემატკივარს თავი.

და ბოლოს, გვინდა გავიხსენოთ პირველი ტაიმის ბოლო დაახლოებით ათი წუთი, როდესაც გოლი არ გასულა, მაგრამ — ვერ გეტყვით, „ლოკომოტივის" უგუნებობის თუ საკუთარი იშტის გამო — „ამერმა" სასიამოვნო კომბინაციური ფეხბურთი ითამაშა ბურთის ერთ-ორ შეხებიანი გათამაშებით.

ისე, გააჩნია, ვისთვის როგორ, მაგრამ შესაძლოა, ეს ყველაზე ნიშანდობლივიც კი იყო ამ შეხვედრაში.



სულიკო დავითაშვილმა ორი გოლი გაიტანა და ორი ამდენიც სახიფათო მომენტი შექმნა

**ვიტ ჯორჯია 1:1 კახეთი**
**მაღაროელი 1:2 გურია**
**დინამო 2 1:3 ბორჯომი**

**დღეს გაიმართება**

**იბერია — ოლიმპი**
**სპარტაკი — ცხინვალი**
**ჩიხურა — მერანი**
**საგარეჯო — რუსთავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 19 | 16 | 1 | 2 | 52:21 | 49 |
| ამერი | 19 | 14 | 1 | 4 | 54:9 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 4 | 3 | 30:11 | 40 |
| სპარტაკი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:17 | 39 |
| კახეთი | 19 | 11 | 3 | 5 | 31:23 | 36 |
| ცხინვალი | 18 | 9 | 3 | 6 | 25:20 | 30 |
| დინამო 2 | 19 | 9 | 1 | 9 | 44:32 | 28 |
| გურია | 19 | 7 | 4 | 8 | 20:28 | 25 |
| იბერია | 18 | 6 | 5 | 7 | 16:22 | 23 |
| ჩიხურა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:21 | 22 |
| ლოკომოტივი 2 | 19. | 6 | 4 | 9 | 24:30 | 22 |
| რუსთავი | 18 | 5 | 2 | 11 | 22:32 | 17 |
| მერანი | 18 | 5 | 1 | 12 | 21:33 | 16 |
| ოლიმპი | 18 | 3 | 4 | 11 | 15:32 | 13 |
| საგარეჯო | 18 | 3 | 4 | 11 | 17:42 | 13 |
| მაღაროელი | 19 | 0 | 3 | 16 | 9:56 | 3 |

## ინგლისი

ჩემპიონატი
XXXIX ტური

**ბრაიტონი 0:1 რედინგი**

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVI ტური

**აინტრახტი 1:0 ფიურტი**

## ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

**ემენი 1:1 სიტარდი**
**ექსელსიორი 1:4 ჰერაკლესი**
**ზვოლე 3:4 ეინდჰოვენი**
**ჰაარლემი 1:4 აპელდორნი**
**ჰელმონდი 2:0 დორდრეხტი**
**მაასტრიხტი 0:0 ვენლო**
**ოსი 2:0 ვეენდამი**

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXX ტური

**ტრუა 2:0 რეიმსი**

## იტალია

სერია C1/A
XXIX ტური

**პრო პატრია 0:0 მანტოვა**

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXVI ტური

**სპორტინგი 2:0 პორტუ**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

## 25 ტური მიმოხილვა



*ძალიან მწირმოსავლიანი ტური იყო. ხუთ მატჩში სამი 0:0 ნამეტანია და ერთი თავისებურებაც მოგვხვდა თვალში — ორი ტურის წინანდელი ამბავი გამეორდა და ვერც ერთმა მასპინძელმა ვერ მოიგო. „დილასთვის“ თუ ყველაფერი ისედაც დამთავრებულია, „სიონმა“ „ტორპედოსთან“ მარცხით ძალიან დაიმძიმა მდგომარეობა და გორში მომგები „კოლხეთი“ უკვე ხუთი ქულით დაუსხლტა.*

*ოთარ გაბელიას კი ნამატჩევს ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, რაც მეორე ეტაპზე იშვიათი ამბავია. რატომაც არა, ლიდერთა ჯგუფიდან მხოლოდ მისმა „ტორპედომ“ მოიგო და სალიდერო ნიშნულამდე სამი ქულაღა აშორებს...*

| | |
|---|---|
| დინამო 0:0 ლოკომოტივი | |
| ვიტ ჯორჯია 0:0 თბილისი | |
| დილა 1:2 კოლხეთი | |
| სიონი 0:1 ტორპედო | |
| ბათუმი 0:0 ზესტაფონი | |

## აი, ასეთია სანდრო...

„ვიტ ჯორჯია“ — „თბილისის“ შესვენებისას მოთელვაზე გასულ სანდრო იაშვილს აშკარად ეტყობოდა, რომ ფეხს იტკივებდა. თუმც „პატარა იაშკამ“ გუნდის ინტერესები გაითვალისწინა და მოედანზე მაინც გავიდა. ჰოდა, „თბილისის“ შეტევებიც უფრო გამწვავდა, მაგრამ სანდრო ხშირად ხვდებოდა თამაშგარეში და ამით გაღიზიანებული მსაჯებს ეკინკლავებოდა.

ერთ-ერთი მორიგი შეტევისას იაშვილს ისევ თამაშგარე „აუწიეს“ და... მანაც, აღშფოთებულმა, ჯერ ბურთი გადაკარგა, მერე კი ხმამაღალი შეძახილით „შეახურა“ გვერდითი მსაჯი.

ამ ისტორიის მხიარული დასასრული კი ასეთია: სანდრომ საკუთარი აზრი თანაგუნდელებთან გადაამოწმა და როცა მათგან მოისმინა, მსაჯი მართალია, რას ერჩიო, თავში ხელები წაიშინა, მყის გაერკვა სიტუაციაში და „გადაკიდებულ“ გვერდით მსაჯსაც საქვეყნოდ მოუხადა ბოდიში.

აი, ასეთია სანდრო...



## აიღე და ნელა დადე!



**რევაზ ჯიქიამ** უმეგრელაძეობა არ დაატყო „ტორპედოს“, თავდასხმაში მარტო ირჯებოდა და გამარჯვების გოლიც გაუტანა მასპინძელ „სიონს“. ჯიქიამ ტრავმა ბოლო წუთებზე მიიღო და ექიმები საკაცით გამოცვივდნენ მინდორზე, თუმც მიმართულება აერიათ — ერთი სანიტარი ერთ მხარეს ექაჩებოდა საკაცაზე დასმულ ფეხბურთელს, მეორე კი მეორე მხარეს. ამის შემყურე ჯიქიას შეეშინდა, მგონი, ამათ შუა ვგონივარ და ძირს გადმომაგდებენო: უცებ წამოხტა და კოჭლობით ძლივს გავიდა მინდვრის მიღმა.

„სიონი“ ჩქარობდა, ნერვიულობდა და ანგარიშის გასათანაბრებლად თითოეული წამი ეძვირებოდა, მაგრამ ეს მომენტი ისეთი კომიკური იყო, ბოლნისელებსაც კი სიცილი აუტყდათ...

## ამირან გულში არა მღეროდა

**ის დროა,** „ბათუმის“ თავკაცს კალამ-ფურცელი მივაწოდოთ და ვთხოვოთ, ობიექტურად წერა გვასწავლეთო...

„ბათუმი“ — „ზესტაფონის“ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა თავკაცი ამირან გოგიტიძე ობიექტურობისკენ ისე მოგვიწოდებდა, თითქოს მისი გაწვრთნილი გუნდი ციდან ვარსკვლავებს წყვეტდეს, მატჩების მნახველი ჟურნალისტები კი ზღაპრებს ვიგონებდეთ და წალმას უკუღმა ვხედავდეთ.

ბატონ ამირანს ვურჩევდით, ჯერ თავისი გუნდის ნაკლი დაინახოს, ჟურნალისტებისკენ კი თითი მერე გაიშვიროს. ესეც, აჯობებს, კორექტულად გააკეთოს.



## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 17-მეგრელაძე | ტორპედო |
| 16-მელქაძე | დინამო |
| 11-ოდიკაძე | თბილისი/დინამო |
| 10-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | თბილისი |
| დვალი | დინამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 25 | 15 | 5 | 5 | 46:26 | 50 |
| დინამო | 25 | 15 | 4 | 6 | 47:23 | 49 |
| ტორპედო | 25 | 13 | 8 | 4 | 39:20 | 47 |
| ლოკომოტივი | 25 | 10 | 11 | 4 | 32:19 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 10 | 8 | 7 | 37:28 | 38 |
| ზესტაფონი | 25 | 11 | 3 | 11 | 25:38 | 36 |
| ბათუმი | 25 | 6 | 10 | 9 | 26:22 | 28 |
| კოლხეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 25:34 | 26 |
| სიონი | 25 | 6 | 3 | 16 | 21:49 | 21 |
| დილა | 25 | 2 | 3 | 20 | 16:55 | 9 |

## მომდევნო ტური

2 აპრილი, შაბათი

ლოკომოტივი – თბილისი

კოლხეთი – ბათუმი

ზესტაფონი – სიონი

დინამო – დილა

ტორპედო – ვიტ ჯორჯია

## სიმბოლური ნაკრები

გოგი ფიფია — თბილისი

რევაზ ჯიქია — ტორპედო

ალეკო კოშკაძე — ტორპედო

გია ნერგაძე — ტორპედო

გია თოდუა — კოლხეთი

ვინ ჩოი — თბილისი

დავით იმედაშვილი — ვიტ ჯორჯია

რევაზ ძემოკლიძე — თბილისი

დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო

დავით ლომაია — ვიტ ჯორჯია

ირაკლი ზოიძე — დინამო

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

## უნიკალური ქასრაშვილი



**თბილისის** „დინამოს“ უამრავი მწვრთნელი გამოუცვლია და ალბათ ხვიჩა ქასრაშვილსაც შეცვლევა.

ახლა სანაკრებო მატჩები გვაქვს, 2 აპრილს კი ჩემპიონატი განახლდება და „დინამოსაც“ ალბათ ახალი თავკაცის ხელში ვიხილავთ. ვინ იქნება ეს კაცი, ჯერ უცნობია, კულუარულ საუბრებს კი, აბა, რა გამოლევს.

ისე, ქასრაშვილი ერთი მხრივ უნიკალურ მთავარ მწვრთნელად შევა კლუბის ისტორიაში — მის გუნდს თამაში არ წაუგია და გოლიც კი არ გაუშვია.

ასე მიილია ქასრაშვილის ორმატჩიანი დინამოური ერა...

# უცხოეთის ჩახუთულობა და ქართული ორპირი

## იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, თორემ...



*ბურთის გორებას უპირველესად კარგი მინდორი უნდა, მაგრამ ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში ეს ჭეშმარიტება თითქოს მიჩქმალულია. ქართული კლუბები პირველ რიგში ფეხბურთელების შეძენასა და მათ ხელფას-პრემიებში ხარჯავენ ფულს ანუ საქმის კეთებას შუიდან თუ ბოლოდან იწყებენ და არა თავიდან. „თბილისი", „ლოკომოტივი" და „ამერი", მეტ-ნაკლებად „ტორპედო" — ნორმალური მოედნებით ოდენ ეს გუნდები თუ მოიწონებენ თავს*

**თბილისის „დინამოს"** ჯერაც არ აქვს შესაფერისი სავარჯიშო თუ სათამაშო მინდორი. არადა, საცაა სეზონი დამთავრდება და გუნდს ევროსარბიელზე მოუწევს გასვლა. „დინამო" კვლავაც ეროვნულ სტადიონზე აპირებს თამაშს, მაგრამ ჯერ შესაბამისი ლიცენზია უნდა მოიპოვოს. მართალია, უეფას ნებართვით ლიცენზიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სათანადო კომიტეტი გასცემს, რომელსაც გერა ხეცურიანი ხელმძღვანელობს, მაგრამ ეროვნული სტადიონი ჯერ ვერ აკმაყოფილებს სალიცენზიო მოთხოვნებს.

როგორც „დინამოს" მატჩების ორგანიზატორმა გია ისიანმა გვითხრა, კლუბმა უკვე დაიწყო მოლაპარაკება ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობასთან. ლიცენზირებისთვის ბევრი საკითხია მოსაგვარებელი — უსაფრთხოება, პრესლოჟა, სტუმართა ლოჟა, ინდივიდუალური სკამები, გასახდელები, განათება... სხვათა შორის, ეროვნული სტადიონის განათება უეფას თასის მატჩებისთვის საკმარისია — 1200 ლუქსი. თუ „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში გავა, ასეთ შემთხვევაში დამატებითი პროჟექტორები უნდა დამონტაჟდეს სტადიონზე, რათა განათებამ მინიმუმ 1500 ლუქსამდე მიაღწიოს.

მაგრამ მთავარი პრობლემა მინდვრის საფარია. ისიანმა გვითხრა, რომ ეროვნული სტადიონის მინდორი ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ერთი სიტყვით, ეროვნულ სტადიონზე ან საფარი უნდა დააგონ, ან ახალი ბალახი უნდა დაითესოს. სტადიონი კი „დინამოსი" არ არის, მერიას ეკუთვნის და „დინამო" არ აპირებს, ეროვნულ სტადიონზე დასაგებად საფარი უცხოეთში შეიძინოს.

მაშ, როგორ და სად უნდა ითამაშოს „დინამომ" საშინაო მატჩები?

ამ პრობლემაზე სასაუბროდ ლევან ცხოვრებაშვილს მივმართეთ. იგი „დინამოს" აგრონომია და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ექსპერტიცაა მოედნების საკითხში.

„ეროვნული სტადიონის საფარი გამოსაცვლელია. მწყობრიდანაა გამოსული სადრენაჟო სისტემა, ხოლო სარწყავი სისტემა საერთოდ არ არსებობს, მინდორს შლანგებით რწყავენ, რაც საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებაა" — განგვიმარტა ცხოვრებაშვილმა და ისიც გვითხრა, რომ თუ ახალი ბალახი დაითესება ეროვნულ სტადიონზე, მაშინ მინდორი სათამაშოდ ცხრა თვეზე ადრე არ იქნება მზად.

„საფარი უცხოეთიდან უნდა ჩამოვიტანოთ და დავაგოთ. თუ ეს მოხერხდება, მინდორი მაქსიმუმ ორ თვეში გამზადდება საექსპლუატაციოდ".

სხვათა შორის, „თბილისმა" ავლაბარში „ისნის" სტადიონზე რომ დააგო თურქეთიდან ჩამოტანილი მინდორი, ამ პროექტის ხელმძღვანელი სწორედ ლევან ცხოვრებაშვილი გახლდათ. ეს მინდორი დღესდღეობით საუკეთესოა საქართველოში.

რაც შეეხება მიხეილ მესხის სახელობის, ყოფილი „ლოკომოტივის" სტადიონის მოედანს, ბევრ ქართველ ლეგიონერს დაუჩივლია, არცთუ ხარისხიანი მინდორიაო. „ამ მინდვრის დაგებაში მონაწილეობა არ მიმიღია. ისე კი, ამ მოედნის მთავარი პრობლემა უთანაბრობა უნდა იყოს, მინდორი შუაში ამოწეულია. ვიცი, რომ ბალახსაც შეექმნა პრობლემები, მაგრამ ფირმამ, რომლისგანაც იყიდეს საფარი, პრეპარატები გამოგზავნა ბალახის სამკურნალოდ. მე ამ მინდვრის ბალახის ანალიზი არ გამიკეთებია და რაიმე დასკვნისგან თავს შევიკავებ. ისე კი, ბალახს ძალიან ბევრი ინფექცია ემუქრება და პროფილაქტიკისთვის სათანადო პრეპარატები სჭირდება".

ჩვენთან იმაზეც კამათობენ, დათესილი, კარგად მოვლილი მინდორი უკეთესია თუ უცხოეთიდან ჩამოტანილი მინდვრის საფარი. ცხოვრებაშვილმა გვითხრა, რომ დათესვით გაშენებული მინდორი ჩამოტანილ საფარზე 20-25-ჯერ იაფი ჯდება, თუმც დატვირთვას უცხოეთიდან ჩამოტანილი საფარი უფრო კარგად უძლებს.

ფაქტია, რომ უცხოეთში ამ საგანგებოდ გამოყვანილ მინდვრის საფარს ხშირად ცვლიან. „ეს იმიტომ, რომ იქაურ სტადიონთა უმეტესობა ისეა აგებული, რომ ჰაერი მინდორს მხოლოდ ზემოდან ხვდება, გვერდებიდან ჰაერი არ მოძრაობს. მაგრამ საფარის გამოცვლა ევროპული კლუბებისთვის დიდ ზარალს არ იწვევს. ჩვენთან კი სტადიონები ისეთია, რომ ორპირი ქარი, ჰაერის მოძრაობა მინდორს არ მოაკლდება" — დასძინა ცხოვრებაშვილმა.

მაინც რა ღირს ასეთი უსაშველო ეს უცხოური ბელტი, რომ მის აქ ჩამოტანას და დაგებას დუხჭირი კი არა, შეძლებული კლუბებიც ერიდებიან? „ასეთი საფარის კვადრატული მეტრი 9-10 დოლარი ღირს, მაგრამ მისი ტრანსპორტირებისთვის სპეციალური რეფრეჟერატორია საჭირო. კიდევ ის, რომ, როგორც კი საფარი ჩამოვა, მყისვე უნდა დაიგოს, თორემ ერთი დღეც რომ დააგვიანდეს, ბალახი გაფუჭდება" — გვიპასუხა ცხოვრებაშვილმა.

მოკლედ, უცხოეთში ნაყიდი საფარი დაახლოებით 70 000 დოლარი ჯდება ტრანსპორტირების, დაგების, სარდენაჟო-სარწყავი სისტემის გარეშე, რაც თითქოს ასატანი თანხაა საქართველოს შეძლებული კლუბებისთვისაც.

„ჩემი მეგობარი ბიზნესმენი აპირებს, რომ ასეთი საფარის წარმოება საქართველოში დაიწყოს, საამისოდ უკვე აღებული აქვს ფართი. ამ პროექტით სერიოზულად არიან დაინტერესებული „დინამო" და პროფლიგაც" — გვამცნობს ცხოვრებაშვილი.

ამასობაში ახალი ევროსეზონი ახლოვდება და ჯერჯერობით მხოლოდ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი პასუხობს საუეფო მოთხოვნებს. ეროვნული სტადიონისთვის კი შეიძენს თუ არა მინდორს მერია, ჯერ უცნობია. „დინამო" კი, ვიმეორებთ, მერიის კუთვნილ სტადიონზე მინდვრის დაგებას არ აპირებს, ეს სტადიონი ჩვენი არ არისო. გუნდი ხომ არის „დინამოსი"?..

**დავით თავართქილაძე**



# ამსტერდამელი მეგოლე

**ჩვენ** აღარ გვიკვირს, რომ ქართველი ფეხბურთელები მთელ მსოფლიოს მოსდებიან და ჩინეთიდან შოტლანდიამდე უთამაშიათ ფეხბურთი.

ალბათ ისიც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თანდათანობით უცხოურ გუნდებში არათუ ზრდასრული მოთამაშენი, არამედ ბიჭუნებიც გამოჩნდებიან და ისინიც მეტნი და მეტნი, ერთმანეთზე უკეთესები იქნებიან.

ჰოლანდიური ჟურნალი „დებალი" აქვეყნებს სტატიას ამსტერდამის საბავშვო გუნდ „იოს ვატერგრასმეერის" შესახებ, რომელიც ახლა ქალაქის ჩემპიონატის ლიდერია.

როგორც ჭეშმარიტ ჰოლანდიურ გუნდს შეეფერება, „იოსშიც" მრავალი ერის ბიჭუნას მოუყრია თავი: ჩინელსაც, არაბსაც, სურინამელსაც. იმათ შორის კი ქართველს.

მამუკა ხერხეულიძე, რომელსაც ამ ფოტოზე ხედავთ, „იოსის" მთავარი მეგოლეა და თავის მოკლე ინტერვიუში ფეხბურთისა და მეგობრებისადმი სიყვარულზე ლაპარაკობს. სამშობლოსაც იხსენებს და ამბობს, ყველაზე ლამაზი გოლი საქართველოში გავიტანეო. ყველაზე დიდ სიხარულად ფეხბურთში ლამაზად გატანილი გოლი მიაჩნია, სანიმუშო ვარსკვლავად კი დევიდ ბექჰემი ჰყავს.

8-9 წლის ბიჭების ფეხბურთი ჯერ კიდევ არ არის დიდების ფეხბურთი, მაგრამ ის ნამდვილი ფეხბურთია და ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს კარგი მოთამაშენი ამ გზითაც გაუჩნდნენ. დღეს ასეა — მსოფლიოს საზღვრები არა აქვს, ფეხბურთსაც.

მამუკა კი ნამდვილად გახდება ფეხბურთელი: ის სწორ ადგილას და სწორად თამაშობს".



ლადო ბურდული (შუაში) პირველი ალანიური გოლი გადაედო

# ქეცბაია სიბერეშიც ქეც კაია

**საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.** „რომა" — „მილანი" ისეთივე დაძაბული და საინტერესო თამაში გამოდგა, როგორსაც ვარაუდობდნენ და სასიამოვნოა, რომ ქართველი ფეხბურთელი „სტადიო ოლიმპიკოზე" შესაშურად გაისარჯა. კალაძემ რომაელთა მარჯვენა ფლანგი აიკლო და დაცვაში საიმედო თამაშის გარდა საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი. „მილანმა" 2:0 მოიგო და კვლავაც ცხრილის თავშია, თუმც კონკურენტ „იუვენტუსს" ოდენ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს.

**მოულოდნელად წააგო „შალკემ".** წინა ტურში ბუნდესლიგაში გალიდერებულმა გელზენკირხენელებმა აუტსაიდერ „მაინცს" ვერაფერი მოუხერხეს და 1:2 დამარცხდნენ. *ლევან კობიაშვილმა* სრულად ითამაშა, „შალკემ" კი კვლავაც დაუთმო ადგილი „ბაიერნს"...

**„ფრაიბურგის" გამოტირება კი უკვე მოვასწარით.** ფოლკერ ფინკეს გუნდი ისევ დამარცხდა და ტურიდან ტურამდე „ინაღდებს" საშეორებუნდესლიგო საგზურს. „შტუტგარტმა" 1:0 მოუგო ჩვენებურთა გუნდს და მე-18 ადგილზე დატოვა. *ალექსანდრე იაშვილი* 61-ე წუთზე შეცვალეს, *ოთარ ხიზანეიშვილმა* სრულად ითამაშა, *ლევან ცქიტიშვილი* კი საერთოდ არ გამოჩენილა.

**რეინჯერსელმა ქართველებმა შოტლანდიის ლიგის თასი მოიგეს.** მართალია, „მოზერუელთან" არც *შოთა არველაძეს* უთამაშია და არც *ზურაბ ხიზანიშვილი* წამომდგარა სათადარიგოთა სკამიდან, თუმც ტიტული ხომ ჩვენებურებს მაინც ეკუთვნით. „რეინჯერსმა" კი არასაფინალო 5:1-ით მიანგრია მეტოქე.

**მოსკოვის „ლოკომოტივმა" ვერაფერი მოუხერხა თანაქალაქელ „მოსკვას".** რკინიგზელებმა 0:0 ითამაშეს და მესამე ადგილამდე დაქვეითდენ. *მალხაზ ასათიანმა* ჩვეულად, სრულად ითამაშა, *მიხეილ აშვეთია* კი სათადარიგო იყო.

**ქართველებით გავსებულმა „ალანიამ" ისევ წააგო.** ვლადიკავკაზელები „ზენიტთან" 0:3 შერცხვნენ, თუმც დიდი ანგარიშით მარცხისგან თავის დაღწევაც შეეძლოთ — 90-ე წუთზე *ლადო ბურდულმა* პენალტი გააცუდა. ბურდულის დარად შეცვლაზე ითამაშეს *დავით კვირკველიამ* და *ჯაბა კანკავამ*.

**უკრაინის ჩემპიონატში ოდენ ორმა ქართველმა ითამაშა** და აქედან ერთმა, *ლაშა ჯაკობიამ* გოლი გაიტანა. „მეტალისტმა" სწორედ ლაშას ერთადერთი გოლით მოუგო ლუცკის „ვოლინს". *ვასილ გიგიაძის* „ტავრია" კი გიგანტ „შახტართან" 0:1 დამარცხდა. გიგიაძემ სრულად ითამაშა, თუმც გოლის გატანა ამჯერად ველარ შეძლო.

**კვიპროსზე თემურ ქეცბაიას ბენეფისი გრძელდება** — წინა ტურში სამი გოლის გამტანმა ახლა „აპოლონიც" დაამწუხრა. ქეცბაიას საგოლე პასი *გიორგი ქინქლაძემ* მიართვა, „ანართოსისმა" კი 2:0 მოიგო და პირველ ადგილს არავის უთმობს.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რომა 2:0 | 90 | საგოლე პასი | 13 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | მაინცი 1:2 | 90 | | 25 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 61 | შეცვალეს | 23 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 0 | | 17 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 90 | | 8 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | დუისბურგი 1:1 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ერფურტი 0:3 | 0 | | 13 | 1 | 10 |
| **შოტლანდია. ლიგის თასის ფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ნ | მოზერუელი 5:1 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ნ | მოზერუელი 5:1 | 0 | სათადარიგო | | | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | დენ ჰააგი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:0 | 90 | | 2 | 0 | 3 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| მათე ლვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | მოსკვა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 16 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 16 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | ზენიტი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 0:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 15 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | ბაზელი 2:2 | 79 | შეცვალეს | 3 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | ს | ვილი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 4 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | მატერსბურგი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კერკერა 1:1 | 90 | | 21 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ვორსკლა 1:1 | 0 | | 17 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ვოლინი 1:0 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 14 | 2 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | შახტარი 0:1 | 90 | | 18 | 8 | 9 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | ს | ბორისფენი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ჩერნომორეცი 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 13 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ჩერნომორეცი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| გრიგოლ ჭანტურია | ზაკარპატიე | ს | კრივბასი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ნაფტექსი 3:0 | 0 | | 19 | 4 | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | ბელასიცა 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 6 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | ს | ბელასიცა 0:0 | 0 | | 6 | 1 | 6 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | დარდანელი 1:0 | 0 | | 6 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპოლონი 2:0 | 90 | 1 გოლი | 20 | 14 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | აპოლონი 2:0 | 90 | საგოლე პასი | 19 | 2 | 1 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აპოლონი 2:0 | 90 | | 22 | 7 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აპოლონი 2:0 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | შ | აპოლონი 2:0 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | არისი 1:1 | 90 | | 22 | 6 | 6 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | აეკ 0:0 | 0 | | 14 | 4 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# გახოკიძის ზარი: ჯერ ვერ მოვდივარ

## ტვენტე და ქართველი გახანგრძლივდნენ

**ალენ ჟირესმა** ნაკრებში გოგა გახოკიძეს კი უხმო, მაგრამ ეს ცაცია ნახევარმცველი თბილისში ჯერ არ ჩამოსულა — გახოკიძე ტრავმირებულია.

ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში გახოკიძის „ტვენტემ" შინ „დენ ჰააგს" 2:1 მოუგო, გოგას არ უთამაშია, რადგან ერთი კვირის წინ ვარჯიშზე კუნთი დაეჭიმა.

გუშინ გახოკიძემ ნაკრების მწვრთნელებს დაურეკა და ამცნო, რომ ტრავმის გამო თბილისში ჯერ ვერ ჩამოდის, თუმც არაა გამორიცხული, მოგვიანებით მაინც შეუერთდეს გუნდს — 26 მარტს ბერძნებთან ვერა, მაგრამ 30 მარტს სათურქეთოდ შესაძლოა, მზად იყოს, თუმც, როგორც ჟირესის თანაშემწე გია გურულმა გვითხრა, ამის შანსი არცთუ დიდია.

ამასობაში კი „ტვენტეს" ვებ-გვერდი იუწყება, რომ კლუბი ქართველთან კიდევ ორი წლით ახანგრძლივებს კონტრაქტს. გახოკიძემ „ტვენტეში" წინა სეზონი საკმაოდ კარგად და სტაბილურად ითამაშა, 28 მატჩში 4 გოლი გაიტანა. შემდეგ კი ჯერ რუსულ „კრილია სოვეტოვში" ლამობდა გადასვლას, მერე უკრაინულ „მეტალურგში", მაგრამ საქმეები ვერ აეწყო და „ტვენტეს" მიმდინარე სეზონის მეორე წრისთვის დაუბრუნდა. გახანგრძლივებული კონტრაქტით კი გახოკიძემ კიდევ ორი სეზონი უნდა გალიოს „ტვენტეში".

**დავით თაგართქილაძე**


**geo_geo_fan@hotmail.com**

*საქართველოს ნაკრებს ოთხი ტურის მერე ჯგუფიდან გასვლის ასეთი შანსი ჰქონოდეს, ვერც ჩვენ ვიხსენებთ და ვერც თქვენ გაიხსენებთ — ოთხი ტურის მერე ხომ ყველანი ვგრძნობით ხოლმე, საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან გამსვლელი რომ არ იყო და ბოლო იმედს ხავსივით თუ ჩავეჭიდებოდით...*

*ახლანდელ შანსებზე კი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ — ქომგი არ გვეგულება, ამ ორ თამაშს, საბერძნეთთან და თურქეთთან რომ გველის, ასეთი რწმენით არ ხვდებოდეს: ჩვენ მოვიგებთ!*

*ჰოდა, თუ ასეა, თქვენი წინასამატჩო განწყობა ჩვენი გაზეთის საშუალებით სხვა გულშემატკივრებსაც გაუზიარეთ. ხოლო თუ ფიქრობთ, რომ ოპტიმიზმის საფუძველი არ უნდა გვქონდეს, მაინც მოიწერეთ და თქვენი მოსაზრებები გაგვაცანით.*

*მოკლედ, გელოდებით ძველ მისამართზე...*

**geo_geo_fan@hotmail.com**





ჟოზე მაურინიუსა და ანდერს ფრისკის საქმის განხილვა უკვე დაიწყო

# უეფამ მაურინიუ გახსნა
## მტყუან-მართალი 31 მარტს გაირკვევა

**უეფას საგამოძიებო კომიტეტმა „ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მაურინიუსა და ამ კლუბის ორ თანამშრომელზე საქმე აღძრა. თანამშრომლები არიან მაურინიუს თანაშემწე სტივ კლარკი და ლონდონური კლუბის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი ლეს მაილსი**

**მოკლედ,** ეს „შავი ამბავი" ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის შემდეგ დაიწყო, რომელშიაც „ბარსელონამ" — „ჩელსის" 2:1 მოუგო.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრის მეორე ტაიმის დასაწყისში შვედმა მსაჯმა ანდერს ფრისკმა „ჩელსის" ძეგოლე დიდიე დროგბა გააძევა. გაძევების მომენტში „ჩელსი" მასპინძლებს 1:0-ს უგებდა და კაცნაკლულმა სტუმრებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. „ბარსელონამ" მეტოქეს ორი გოლი გაუტანა და მოუგო, თუმც ორი შეხვედრის ჯამში „ჩელსი" მეოთხედფინალში მაინც გავიდა.

ჩვენი ინტერესის საგანი ამ შემთხვევაში ბარსელონური მატჩია. დროგბას გაძევებამ, მაურინიუს თქმით შესვენებისას რაიკარდთან ფრისკის საუბარმა და საბოლოოდ „ბარსელონას" მოგებამ „ჩელსის" ქომაგები ისე გააშმაგა, რომ შვედ მსაჯს მუქარის წერილები მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან მიუვიდა. შეშინებულმა ფრისკმაც მსაჯობაზე ხელი აიღო, სტვენა არ მჭირდება, ოჯახს უნდა მივხედოო.

უეფა ანდერს ფრისკს გადაწყვეტილების შეცვლას სთხოვდა, მაგრამ ამაოდ, დაშინებულმა შვედმა იუარა.

და, „კამპ ნოუზე" ნათამაშები მატჩის შემდეგ უეფამ რაღაც-რაღაცეები გამოიძია. გუშინ კი ოფიციალურად განაცხადა: „დღეს „ჩელსისთან" დაკავშირებით საქმე აღიძრა. ინგლისური კლუბის წარმომადგენლებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ედებათ ბრალი, რომელიც აღწერილია „ბარსელონასთან" პირველი მატჩის შემდგომ მოხსენებაშიც. ამ განცხადებების შედეგად, „ბარსელონა" — „ჩელსის" მატჩის მერე მძიმე ვითარება შეიქმნა, რაც მსაჯებზე, ზეწოლაში გამოიხატა".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ საქმეს სადისციპლინო კომიტეტი 31 მარტს განიხილავს. უეფას წესდების მეხუთე მუხლის თანახმად, „ჩელსის" წარმომადგენლები უხეშად არღვევდნენ მუხლში ჩამოწიკწიკებულ წეს-კანონებს, რაც სამართლიან თამაშს გულისხმობს, გარდა ამისა, უეფას რეპუტაციის შელახვაც გამოდის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ძველებურად, ბირმინგემულად
## გუნდი გუნდზე ჩხუბი ვილა პარკის გვირაბში



ლი ჰენდრიმ ჩხუბი მოედანზევე დაიწყო...

**კვირის** ბირმინგემულ დერბის, რომელშიაც „სიტიმ" „ასტონ ვილას" 2:0 მოუგო, სტადიონის გვირაბში ატეხილი ჩხუბი მოჰყვა და ამ ჩხუბში ოცდაორივე ფეხბურთელი მონაწილეობდა.

გუნდები ძლივს დააშოშმინა სტადიონის დაცვამ, რომელმაც იღბლად, ძალიან ივაჟკაცა და მთელი ბატალიონი ხალხი ერთმანეთს დააცილა.

...მანამდე კი იყო მაგარი მუშტის ცემა და წიხლაობა.

არეულობა მსაჯის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე დაიწყო, როცა ვილელმა ლი ჰენდრიმ და სიტელმა მარიო მელხიოტმა ერთმანეთს აგინეს. ჰენდრი ნაწყენი იყო, რომ მელხიოტი პროვოკაციულად თამაშობდა მისიანების წინააღმდეგ.

თუმც, ამბობენ, რომ კლუბები ეგებ გადაურჩნენ ასოციაციის სასჯელს, რადგან შეხვედრის მსაჯმა მაიკ რაილიმ ბოლომ დატოვა მინდორი და გვირაბის ჩხუბი არ უნახავს. შესაბამისად, პატაკშიც ვერაფერს ჩაწერს.

„სიტის" მენეჯერმა სტივ ბრიუსმა ჩხუბის კომენტირებაზე არაფერი თქვა, „ვილას" კაპიტანმა ოლოფ მელბერგმა კი მხრები აიჩეჩა, არაფერი დამინახავსო.

**ირაკლი გამყრელიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



# ადრიანოს ნაადრევი 21

**„ინტერის"** ბრაზილიელი ადრიანო მომდევნო სამი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს — ასეთი დიაგნოზი დაუსვეს ფეხბურთელს ვარეზეში, ჩირკოლოს კლინიკაში გუშინ დილით. მოგეხსენებათ, ბრაზილიელ ფორვარდს მარჯვენა მუხლის მყესები დაუზიანდა „ფიორენტინასთან" მატჩში და 43-ე წუთზე შეცვალეს. „ინტერის" მეგოლის მუხლს კვირის ბოლომდე კიდევ რამდენჯერმე შეამოწმებენ და ზუსტ პასუხს ექიმები ამის შემდეგ იტყვიან. მანამდე კი შეგვიძლია, გადმოგცეთ, რაც ოფიციალურად ამ მილანურმა კლუბმა გაავრცელა: „ადრიანოს მარჯვენა მუხლის მყესები დაუშავდა. რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი ზუსტად გაირკვევა".

რას ნიშნავს „ინტერისთვის" ადრიანოს ტრავმა? ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო ხანს საგოლე მადაზე მოსული ბრაზილიელი ფორვარდი „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩს გამოტოვებს. ეს შეხვედრა 6 აპრილს გაიმართება და, ცხადია, რომ ადრიანოს არყოფნით „მილანს" გარკვეული ფორა ეძლევა.

რა თქმა უნდა, ცაცია ბრაზილიელის დაშავება რობერტო მანჩინისთვისაც დიდი თავსატეხია. ბოლოჟამს ობაფემი მარტინსი და კრისტიან ვიერი ფორმიდან ამოვარდნენ. ამიტომაც გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში არგენტინელი ხულიო კრუზი, რომელიც ადრიანოს შეუწყვილდა. ამ წყვილით „ინტერმა" რამდენიმე შეხვედრა ზედიზედ მოიგო, მაგრამ ბრაზილიელი ფორვარდის დაშავების შემდეგ მანჩინის მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს. ეს შეიძლება იყოს იგივე მარტინსი ან ვიერი.

ბოლოს კი გეტყვით, რომ „ინტერის" ბოსები იმედოვნებენ, ადრიანო „მილანთან" საპასუხო შეხვედრისთვის (12 აპრილი) მაინც გამოჯანმრთელდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

### სერია A. XXIX ტური

**რომა 0:2 მილანი**

0:1 კრესპო (63), 0:2 პირლო (71პ)

**რომა:** კურჩი, პანუჩი, მ. ფერარი, კიფუ, კუფრე (სკურტო 51), დაკური, პეროტა, აკილანი, ტოტი, ა. კასანო, მონტელა (მანსინი 62)

**მწვრთნელი:** ბრუნო კონტი

**მილანი:** დიდა, კაფუ, სტამი, მალდინი, კალაძე (კოსტაკურტა 90), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, კრესპო (ფინძაგი 74), ტომასონი (ამბროზინი 81)

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**გაფრთხილება:** სტამი, კაფუ, სკურტო, ტომასონი, პეროტა, ზეედორფი, კაკა, ტოტი

**გაძევება:** პანუჩი (70), ტოტი (90)

**მსაჯი:** პაპარესტა

65 000 მაყურებელი

# კონტის დებიუტი კალაძემ ჩააშხამა
# მილანს იუვე არ აღელვებს



კარლო ანჩელოტის თქმით, კახა კალაძე ძალიან კარგი იყო

**„სტადიო ოლიმპიკოზე"** ჩასულმა „მილანმა" მშვენივრად იცოდა, რომ წინა დღით ტურინის „იუვენტუსმა" სამი ქულა მოიპოვა და სერია A-ს ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. შესაბამისად, კარლო ანჩელოტისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ მოგება იქნებოდა.

შეხვედრა უკეთ მასპინძლებმა დაიწყეს. ერთი-ორი მომენტი ვინჩენცო მონტელამ გაანიავა, ხოლო ერთ ეპიზოდში ფრანჩესკო ტოტიმ ვერ ივარგა. „მილანმა" ვითარება მალევე გამოასწორა და რამდენიმე მწვავე იერიშიც განახორციელა.

სტუმრებმა პირველი აშკარა საგოლე მომენტი მეორე ტაიმის დებიუტში შექმნეს, როდესაც კრესპოს შეეძლო კლარენს ზეედორფის პასით გაეტანა, მაგრამ არგენტინელმა ჯანლუკა კურჩის ვერ აჯობა. სათქმელია ისიც, რომ დედაქალაქელთა ეს 19 წლის მეკარე მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

მატჩის გარდამტეხი მომენტი 63-ე წუთზე დადგა, როდესაც 90 წუთის მანძილზე ჩინებულად მოთამაშე კახა კალაძე ფლანგზე გაიჭრა და ბრიწყინვალედ ჩააწოდ შორეული ძელისკენ, სადაც ერნან კრესპოც უმალ იქ გაჩნდა და ბურთს ძლიერად დაჰკრა თავი, რომელიც რომაელთა კარის შორეულ კუთხეში შევარდა.

ცოტა ხანში კალაძემ კიდევ ერთი მშვენიერი პასი გააკეთა, ამჯერად ქუსლით, მაგრამ კაკამ ხელსაყრელი პოზიციიდან ცუდად დაარტყა.

70-ე წუთზე კი კრესპოს მორიგი თავურის შემდეგ პანუჩიმ ბურთი კარიდან ხელით გამოიტანა, რისთვისაც თერთმეტმეტრიანი და წითელი ბარათი დაიმსახურა, პენალტი კი ზუსტად ანდრეა პირლომ შეასრულა და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა.

ბოლო წამებზე კვლავ უმტყუნა ნერვებმა რომაელთა [illegible]ან ფრანჩესკო ტოტის, რომელიც, პანუჩის დარად, [illegible] მიაბრძანეს, მაგრამ [illegible] მსვლელობაზე აღარ უმოქმედია.

კმაყოფილი იყო კარლო ანჩელოტი: „მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. კალაძემ ჩინებული პასი ჩააწოდა კრესპოს და მთლიანობაში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. სიმართლე გითხრათ, ველოდი, რომ „რომა" უფრო დაცვაში ჩადგებოდა. ახლა მთავარია, „იუვენტუსის" თამაშებზე არ გავაკეთოთ კონცენტრაცია. ის, რომ ტურინელები იგებენ, გასაკვირი არ არის, ჩვენ ეს არ უნდა გვაღელვებდეს, მხოლოდ ჩვენს წარმატებაზე უნდა ვიფიქროთ".

მიუხედავად წარუმატებელი დებიუტისა, ოპტიმიზმს არ კარგავს ბრუნო კონტი: „რა თქმა უნდა, მატჩის საბოლოო შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმც პირველ 30 წუთში ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლიც უნდა გაგვეტანა. ფაქტია, რომ წინ ბევრი სამუშაო გვაქვს და მჯერა, მალე ყველაფერი მოგვარდება".

ბოლოს კი ერთი სასიხარულო ფაქტზეც ვთქვათ: იტალიელმა ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე დაასახელეს.

**გიორგი ძაძაგაძე**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა
### XXVI ტური

ადმირა — აუსტრია 2:2; რაპიდი — გრაცერი 1:0; ტიროლი — პაშინგი 0:0; შტურმი — მატერსბურგი 2:3; ბრეგენცი — ზალცბურგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 24 | 15 | 3 | 6 | 42:30 | 48 |
| აუსტრია | 24 | 13 | 7 | 4 | 45:16 | 46 |
| რაპიდი | 23 | 13 | 7 | 3 | 40:17 | 46 |
| გრაცერი | 25 | 12 | 5 | 8 | 34:23 | 41 |
| ტიროლი | 26 | 8 | 9 | 9 | 38:37 | 33 |
| მატერსბურგი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:43 | 33 |
| ადმირა | 24 | 8 | 4 | 12 | 29:41 | 28 |
| შტურმი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:38 | 26 |
| ზალცბურგი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:37 | 24 |
| ბრეგენცი | 25 | 4 | 6 | 15 | 24:59 | 18 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა
### XX ტური

დრნოვიცე — სლავია 2:1; ბოლესლავი — ბლშანი 1:1; იაბლონეცი — ოპავა 0:1; ბრნო — ბუდეიოვიცე 0:0; სიგმა — ზლინი 1:0; ბანიკი — პრჟიბრამი 2:1; სპარტა — ლიბერეცი 2:1; სლოვაცკო — ტეპლიცე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 20 | 16 | 3 | 1 | 41:14 | 51 |
| ტეპლიცე | 19 | 8 | 9 | 2 | 17:13 | 33 |
| სლავია | 19 | 9 | 5 | 5 | 28:18 | 32 |
| ლიბერეცი | 19 | 8 | 7 | 4 | 28:13 | 31 |
| სიგმა | 19 | 9 | 3 | 7 | 20:18 | 30 |
| იაბლონეცი | 19 | 7 | 7 | 5 | 19:16 | 28 |
| ბანიკი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:23 | 28 |
| სლოვაცკო | 20 | 6 | 9 | 5 | 17:14 | 27 |
| ზლინი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:23 | 22 |
| ოპავა | 19 | 5 | 6 | 8 | 20:23 | 21 |
| დრნოვიცე | 18 | 5 | 5 | 8 | 20:23 | 20 |
| ბრნო | 19 | 5 | 5 | 9 | 14:26 | 20 |
| ბლშანი | 20 | 5 | 5 | 10 | 16:29 | 20 |
| ბოლესლავი | 19 | 3 | 9 | 7 | 19:24 | 18 |
| პრჟიბრამი | 19 | 4 | 5 | 10 | 17:32 | 17 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 2 | 6 | 11 | 15:23 | 12 |

## მექსიკა

### კლაუსურა. X ტური

ტოლოუკა — კრუზ ასული 0:2; ვერაკრუსი — ტიგრესი 2:0; მონტერეი — ტეკოსი 2:1; მორელია — პუებლა 3:1; გვადალახარა — სანტოსი 5:1; ნეკაქსა — ხაგუარესი 2:0; ატლანტე — დორადოსი 1:1; პაჩუკა — ატლასი 3:1; უნამი — ამერიკა 2:3

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXIII ტური

იანგ ბოისი — სენტ გალენი 2:3; აარაუ — გრასჰოპერი 2:3; შაფჰაუზენი — თუნი 0:1; ციურიხი — ბაზელი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 23 | 12 | 6 | 5 | 47:32 | 42 |
| თუნი | 21 | 10 | 4 | 7 | 30:19 | 34 |
| ქსამაქსი | 22 | 9 | 6 | 7 | 29:25 | 33 |
| იანგ ბოისი | 22 | 8 | 7 | 7 | 40:33 | 31 |
| ციურიხი | 22 | 8 | 6 | 8 | 30:32 | 30 |
| გრასჰოპერი | 23 | 7 | 9 | 7 | 23:34 | 30 |
| სენტ გალენი | 22 | 6 | 9 | 7 | 29:32 | 27 |
| აარაუ | 21 | 6 | 6 | 9 | 29:31 | 24 |
| შაფჰაუზენი | 22 | 3 | 8 | 11 | 24:39 | 17 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 23 |

*„სერვეტი" მოხსნილია ჩემპიონატიდან*

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა
### XIX ტური

ობოლონი — ილიჩევეცი 1:2; შახტარი — ტავრია 1:0; კრივბასი — ზაკარპატიე 1:0; ბორისფენი — დნიპრო 1:1; მეტალისტი — ვოლინი 1:0; არსენალი — დინამო 0:0; ვორსკლა — მეტალურგი (დ) 1:1; მეტალურგი (ზ) — ჩერნომორეცი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 18 | 16 | 0 | 2 | 36:9 | 48 |
| დინამო | 19 | 15 | 3 | 1 | 40:8 | 48 |
| მეტალურგი (დ) | 19 | 11 | 3 | 5 | 27:21 | 36 |
| ჩერნომორეცი | 19 | 10 | 3 | 6 | 21:14 | 33 |
| ვოლინი | 19 | 9 | 4 | 6 | 26:22 | 31 |
| დნიპრო | 18 | 8 | 6 | 4 | 24:20 | 30 |
| ილიჩევეცი | 19 | 6 | 7 | 6 | 27:25 | 25 |
| მეტალისტი | 19 | 7 | 3 | 9 | 20:26 | 24 |
| ტავრია | 19 | 6 | 4 | 9 | 17:19 | 22 |
| კრივბასი | 19 | 5 | 7 | 7 | 14:20 | 22 |
| არსენალი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:24 | 21 |
| ვორსკლა | 19 | 5 | 4 | 10 | 9:22 | 19 |
| მეტალურგი (ზ) | 18 | 3 | 8 | 7 | 12:20 | 17 |
| ზაკარპატიე | 18 | 2 | 6 | 10 | 11:22 | 12 |
| ობოლონი | 19 | 2 | 6 | 11 | 11:30 | 12 |
| ბორისფენი | 19 | 1 | 8 | 10 | 11:22 | 11 |

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა
### XXI ტური

ჰაიდუკი — ინტერი 2:0; კამენი — ოსიეკი 3:1; მედიმურიე — ვარტექსი 2:0; პულა — ზადარი 2:0; სლავენი — დინამო 3:1; ზაგრები — რიეკა 2:1

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XV ტური

პოლონია — ვისლა 1:3; კატოვიცე — გროცლინი 1:3; ლეგია — ამიკა 1:1; პოგონი — გურნიკი 0:2; პლოცკი — ლეხი 2:1; ზაგლებე — ოდრა 1:1; კრაკოვია — ლეჩნა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 15 | 13 | 2 | 0 | 48:9 | 41 |
| გროცლინი | 15 | 10 | 1 | 4 | 30:17 | 31 |
| ლეგია | 15 | 9 | 4 | 2 | 24:12 | 31 |
| ამიცა | 14 | 7 | 4 | 3 | 20:13 | 25 |
| ზაგლებე | 14 | 5 | 5 | 4 | 23:23 | 20 |
| პლოცკი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:21 | 20 |
| კრაკოვია | 14 | 5 | 4 | 5 | 20:14 | 19 |
| პოლონია | 15 | 5 | 3 | 7 | 16:29 | 18 |
| გურნიკი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:17 | 16 |
| პოგონი | 15 | 4 | 3 | 8 | 19:32 | 15 |
| ოდრა | 14 | 4 | 2 | 8 | 15:19 | 14 |
| ლეჩნა | 14 | 4 | 1 | 9 | 13:23 | 13 |
| ლეხი | 14 | 3 | 3 | 8 | 17:29 | 12 |
| კატოვიცე | 15 | 2 | 2 | 11 | 14:39 | 8 |

## არგენტინა

### კლაუსურა. VI ტური

ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:1; ოლიმპო — ველესი 1:1; არსენალი — ინსტიტუტო 2:1; ლანუსი — ურაკანი 3:1; ალმაგრო — კოლონი 0:5; კილმესი — ბანფილდი 1:0; ესტუდიანტესი — რივერ პლეიტი 2:1; ოლდ ბოიზი — არგ. ხუნიორსი 1:1; რასინგი — ხიმნასია 2:1; სან ლორენსო — როსარიო 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო | 6 | 4 | 2 | 0 | 13:6 | 14 |
| ესტუდიანტესი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 13 |
| რივერ პლეიტი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 13 |
| რასინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 6:3 | 12 |
| ლანუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | 11 |
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| კილმესი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:3 | 10 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:2 | 10 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| არგ. ხუნიორსი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| ველესი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 9 |
| ოლიმპო | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| კოლონი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:10 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 1 | 3 | 2 | 8:8 | 6 |
| ხიმნასია | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | 6 |
| ინსტიტუტო | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| სან ლორენსო | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |
| ალმაგრო | 6 | 0 | 3 | 3 | 5:14 | 3 |
| ურაკანი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:11 | 2 |
| ბანფილდი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:5 | 1 |

## ფეხბურთის რუკასთან



**პორტუგალიელი** ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ შესაძლოა, მილანის „ინტერში" აღმოჩნდეს. „შავლურჯები" აპირებენ, მომავალ ზაფხულს 32 წლის ვეტერანს კონტრაქტი შესთავაზონ. აღსანიშნავია, რომ ფიგუს გადაბირება სურს ლისაბონის „სპორტინგსაც", სადაც ფეხბურთელმა სახელი გაითქვა.

**ინგლისური** „ტოტენჰემის" მეკარე პოლ რობინსონმა განაცხადა, „მანჩესტერ იუნაიტედის" დაინტერესების შესახებ არაფერი ვიცი და არსადაც წასვლას არ ვაპირებო. „ეს უბრალო ჭორებია. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე არავინ დამკავშირებია. „ტოტენჰემთან" კიდევ ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს და წასვლაზე საერთოდ არ ვფიქრობ" — თქვა „ლიდსის" ყოფილმა მეკარემ.

**ესპანელი** ვეტერანი მცველი ფერნანდო იერო „ბოლტონში" რჩება. მხარეები უახლოეს მომავალში ახალი, ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ინგლისური კლუბი იეროს გაყიდვას გეგმავდა, მაგრამ ფეხბურთელის კარგმა თამაშმა გუნდის უფროსობას აზრი შეაცვლევინა.

**გერმანულმა** „ვერდერმა" პატრიკ ოვომოიელასთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია და სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს ტრანსფერსაც განახორციელებს. ეს უკანასკნელი ბილეფილდის „არმინიას" ღირსებას იცავს და მიმდინარე სეზონს ძალიან შთამბეჭდავად ატარებს. იგი უკვე გერმანიის ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა.

**იტალიურმა** „პალერმომ" და „ფიორენტინამ" როკე სანტა კრუზის შეძენის სურვილი გამოთქვეს. ფლორენციელებს მისი ყიდვა იანვარშიც უნდოდათ, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნმა" პარაგვაელის 4 მილიონ გირვანქად გასხვისება იუარა. ახლა მიუნხენური კლუბის დატოვება თავად ფეხბურთელსაც გადაუწყვეტია.

**ესპანური** „ვალენსიას" ერთ-ერთი ლიდერი რუბენ ბარახა მომავალი ხუთი კვირის მანძილზე ვეღარ ითამაშებს. იგი გასულ კვირას, ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა საბოლოო დიაგნოზი ახლაღა დასვეს.

**ინგლისური** „ჩელსის" გერმანელმა მცველმა რობერტ ჰუთმა განაცხადა, ზაფხულში „ჩელსის" დატოვებას ვაპირებო. ჭორების თანახმად, 20 წლის ფეხბურთელით მიუნხენის „ბაიერნია" დაინტერესებული. „ყოველთვის ვამბობდი, რომ სამშობლოში დაბრუნება და ბუნდესლიგაში თამაში მინდა. თანაც მეტი სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, რათა ბუნდესნაკრებში მოვხვდე" — დასძინა ჰუთმა.

**იტალიური** „პარმას" ახალგაზრდა ვარსკვლავმა ალბერტო ჯილარდინომ გუშინ დაადასტურა, რომ „მილანთან" მისი ტრანსფერის დეტალები საბოლოოდ მოგვარებულია და „შავ-წითლებს" ზაფხულში შეუერთდება. ჯილარდინო ხუთწლიან კონტრაქს გააფორმებს თავის ახალ კლუბთან, „პარმა" კი ტრანსფერში 15 მილიონ ევროს მიიღებს.

### ...და ან ცაზე ვახსენებთ

# შავი, გიჟი კაცი

## იან რაიტი

*შონ რაიტ-ფილიპსი და ბრედლი რაიტ-ფილიპსი „მანჩესტერ სიტიში" მოთამაშე ძმები არიან და თუ შავ იუმორად არ ჩამოგვართმევთ, გეტყვით, რომ ძალიან გაუმართლათ მათი დედა მამა ფილიპსს რომ გაეყარა და „არსენალის" ცნობილ თავდამსხმელს იან რაიტს მიეცა ცოლად. იმიტომაც არიან ახლა ძმები რაიტ-ფილიპსები ფეხბურთელები. ხოლო დიდი იან რაიტი მონიწებით დაბრძანებულა ტრიბუნაზე და გამზრდელი მამის ცრემლს იწმენდს. ერთხელ განრისხდა მხოლოდ, როდესაც მადრიდში, ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრის დროს ტრიბუნებმა ინგლისელთა ზანგ მოთამაშეებს და მათ შორის მის შონს ფრიადი შეურაცხყოფა მიაყენეს. ჩვენც ამაზე გაგვახსენდა:*




**სადაც** პრობლემაა, იქ არის იან რაიტიც. ჯერ კიდევ მისი ფეხბურთელობისას ამბობდნენ, რომ კონფლიქტების რაოდენობით რაიტმა ოთხმოცდაათიანი წლების უდიდეს ინგლისელ მძლეოსანს, ლინფორდ კრისტისაც კი გადააჭარბა. ერთხელ, 1992 წელს, ნოემბერში, მან შუა თამაშში მუშტი-კრივი აუტეხა მეტოქეს, დევიდ ჰაუელს და შემდეგ განაცხადა:

„ჯორჯ გრემს აქვს ჩემთვის ნათქვამი, შენში ცეცხლია და ამ ცეცხლის ჩაქრობა არაფრით შეიძლებაო. მან მითხრა, რომ ფეხბურთელი სწორედ ამ ცეცხლის გამო გავხდი, ხოლო ერთადერთი, რაც მჭირდება, მისი კონტროლირებაა".

აი, ასე. ცეცხლი, რომლის ჩაქრობაც არ შეიძლება...

„ჩვენთან, „არსენალში" უკლებლივ ყველა ფეხბურთელს ეკალებოდა იანის მსაჯისკენ მოცილება — იგონებს მისი მეწყვილე მაშინდელ „მეთოფეთა" თავდამსხმაში ალან სმიტი — ის არც ერთ სხვა მოთამაშეს არ ჰგავდა, მისი გადაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო. მისგან ამ გიჟური ვნების და სითამამის მოშორება მკვლელობის ტოლფასი იქნებოდა".

რამდენი ფეხბურთელი და მსაჯი ჩამოვთვალოთ, რომელთაც რაიტის წინააღმდეგ ხმამაღლა, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გაულაშქრიათ: ალექს რეი, სტივ უოლისი, პიტერ შმაიხელი, რობი ჰართი, ჯეფ უინტერი, დევიდ ელერეი. მათ გარდა კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის უამრავი თანამშრომელი, მაგრამ იან რაიტს სიშლეგის გარდა დადებითი თვისებებიც ჰქონდა და ამ, დადებით ფრონტზე არანაკლები გატაცებით იბრძოდა.

ყველაზე მეტად „არსენალის" თავდამსხმელი მონაწილეობდა ანტირასისტულ კამპანიაში და საქმე იქამდეც მიიყვანა, რომ მის დამსახურებებზე თვით ზემოხსენებული ასოციაციის ჩინოვნიკებმაც დაიწყეს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, ფორვარდისა და ინგლისური ფეხბურთის შეფების ურთიერთობა ძალიან ტკბილ-მწარე თუ მტრულ-მოყვარული გახლდათ. მათ ერთ დღეს ერთმანეთი სძულდათ, ხოლო მეორე დღეს თანამოაზრენი ბრძანდებოდნენ.



აი, როგორ იგონებს იან რაიტი 1995 წელს, როდესაც მას რუმინელებთან სათამაშოდ ნაკრებში დაბრუნება სთხოვეს:

„მაშინ ვთქვი, რომ ყველაფერი თავისი ცუდით და კარგით უნდა მიიღო, რადგან ცხოვრება სიყვარულსა და სიძულვილს, ომსა და მშვიდობას ჰგავს".

იან რაიტის სულ პირველ გუნდში, რომელსაც „ენ ემ ბი" ერქვა, ჯერ კიდევ მისი ყმაწვილობის დროს მოედანზე ერთდროულად ათი ფერადკანიანი ბიჭუნა დარბოდა და შემდეგაც, როდესაც „კრისტალ პალასში" დაიწყო თამაში, გუნდი სანახევროდ თეთრი იყო, სანახევროდ კი შავი. ფორვარდის კერპები იყვნენ სირილ რეჯისი და ლორი კანინგემი.

ერთის მხრივ, რაიტის ეპოქაში, ინგლისში, ფერადკანიან ფეხბურთელებს ბანანებს აღარ ჩუქნიდნენ, ყვავილებს უგზავნიდნენ, მაგრამ მეორეს მხრივ, მისი პირველი ნაბიჯები ძნელი იყო — მას კარგად ახსოვს ჯიმი ჰენონი და ჯორჯ ვუდი, რომლებიც შავკანიან ბიჭებს, მას, ენდი გრეისა და ტონი ფინეგანს საჩუქრად მიზეზებს უგონებდნენ.

ნაკრებში იან რაიტმა პირველად 1989 წლის დეკემბერში ითამაშა იუგოსლავიის წინააღმდეგ.

„ის დღე, როდესაც ინგლისის ნაკრების მაისურა პირველად ჩავიცვი საძაგელი გამოდგა. თითქოს საამაყო დღედ უნდა შემორჩენოდა მეხსიერებას, მაგრამ რასიზმმა გააფუჭა. ჩვეულებრივ რასობრივ დისკრიმინაციას მოთმინებით ვეპყრობოდი, მაგრამ მაშინ ჭკუიდან გადაველი, მე ინგლისის ნაკრებში ვთამაშობდი, ინგლისელი ფანები კი კანის ფერის გამო მაგინებდნენ და ნაცვლად იმისა, რომ სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვყოფილიყავი, სტადიონი ნაცემივით დავტოვე" — ამბობს ლეგენდარული ფორვარდი, რომლის ბიოგრაფიიდან თქვენის ნებართვით, შემდეგ ასეთ ეპიზოდს მოვიტანთ:

„არსენალს" მილუოლში ჰქონდა თამაში. მატჩის წინ, კრებაზე, ჩვენი წერილის გმირმა თანაგუნდელები გააფრთხილა, რომ ამ ქალაქში სტუმრებზე საგანგებოდ ზემოქმედებენ, ცდილობენ ისინი მტრული გარემოთი დააშინონ და მტრობითვე პასუხის სურვილს იწვევენ. და მართლაც, იმ დღეს იან რაიტი მილუოლელებს თითქმის ჰყავდათ ამოღებული.



სტელა ორაკვიუს წიგნში ვკითხულობთ: „მას აფურთხებდნენ, შეხვედრის მიწურულს ერთი მილუოლელი ფეხბურთელი სარმებს უდებდა, საფინალო სასტვენის შემდეგ მოედნიდან პოლიციელის დაცვით გაიყვანეს, ხოლო მისკენ გადმომხტარი ქომაგის დასაჭერად „არსენალის" ექიმს მოუწია გავარდნა".

ამ ისტორიის გაგრძელება ის არის, რომ თებერვალში იან რაიტმა ჯარიმა 750 გირვანქა გადაიხადა... „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ქომაგებისკენ გადაფურთხების გამო. ცნობისთვის: ლესტერის ცენტრის მონაცემებით, „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ქომაგთა 97 პროცენტი თეთრკანიანია.

შემდეგ, 1995 წლის ოქტომბერში იან რაიტი 1 500 გირვანქით დააჯარიმეს. ეს ამბავი ჯერ ბარნსლიში მოხდა, სადაც ტრიბუნიდან ლონდონელთა ფორვარდს შეურაცხმყოფელ სიმღერებს უმღეროდნენ, ხოლო შემდეგ ოლდემში, სადაც სექტორებიდან ფურთხება დაუწყეს. რაზეც მან ფურთხითვე უპასუხა.

ციტატა ძველი THE OBSERVER-იდან: „მინდა სახელი გავითქვა, როგორც ადამიანმა, რომელმაც თავი არავის მიჰყიდა; როგორც ადამიანმა, რომლითაც შავკანიანი ხალხი იამაყებს, როგორც მალკოლმ იქსივით უშიშარმა. კარგად მესმის, რომ სამაგალითო კაცი არ ვარ და საერთოდაც, ასეთი ადამიანის როლს ვერ აირჩევ, მან უნდა აგირჩიოს, ხოლო შენ, თუ ასე მოხდება, იგი უნდა მიიღო. ჩვენ, ზანგებმა ეროვნულობა არ უნდა დავკარგოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიტანეთში ვცხოვრობთ. აქ ხომ კოსმოპოლიტური საზოგადოებაა. მწამს, რომ შავკანიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ, გაერთიანდნენ და ამით სხვა რამის სიყვარულზე იფიქრონ".

ეს იან რაიტის სიტყვებია.

ხოლო „შავი" გაზეთის, „ახალი ერის" სპორტული რედაქტორი, რონ შილინგფორდი ასე ბრძანებდა:

„იან რაიტი გართობის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შავკანიანია. მისით ბავშვები და დიდები ერთნაირად არიან აღფრთოვანებულნი, ხოლო მისი ხულიგნური გამოხდომები ამტკიცებს, რომ ისეთივე ადამიანია, როგორც მის ძმები".

ძმებში ალბათ ზანგებს გულისხმობდა...

**პაპუნა ძიძია**

## სამხრეთული სამშაბათი

# უბრალოდ, რონალდინიო 25 წელი — უკვე დავბერდი?



*გუშინ რონალდინიოს დაბადების დღე იყო, 25 წლისა შესრულდა. „ბარსელონას" ბრაზილიელი პლეიმეიკერი ახლა ბრწყინვალე ფორმაშია, თუმცა, მრავლისმნახველ სპეციალისტთა აზრით, ეს ჯერ კიდევ არ არის მის შესაძლებლობათა მწვერვალი...*

*ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ მუდამ მომღიმარი გაუჩოს პირადი, ადამიანური ღირსებები, მოედანზე მის სიჩაუქეს ბევრად აღემატება.*

*„25 წელი, ესე იგი გამოდის, რომ უკვე დავბერდი?" — ჩვეულად გაიხუმრა რონალდინიომ.*

*მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიური „სპორტის" ჟურნალისტები 21 მარტს რონალდინიოს მაგიის შესახებ უამრავ ადამიანს გაესაუბრნენ — ზოგი მათგანი სახელგანთქმული პიროვნებაა, ზოგიც არა, თუმცა ყველას მისი ჯადოსნური თამაშის ხიბლი აერთიანებს.*

*ერთი სიტყვით, გაეცანით, თუ რას ფიქრობს ეს ხალხი რონალდინიოს შესახებ...*

### ანხელ მური
### „ბარსელონას" ფიზიოთერაპევტი

რონალდინიო საოცრად კომუნიკაბელურია, ძალიან უყვარს მუსიკა და მის გარშემოც მუდამ მხიარული ატმოსფეროა. ვფიქრობ, ეს ბიჭი დანარჩენ ფეხბურთელებზე სასიკეთოდ მოქმედებს. განსაკუთრებით მისი იუმორის გრძნობას გამოვარჩევდი. ნებისმიერ დროს მზადაა, თანაგუნდელებს მოუსმინოს და თუ საჭიროა, დაეხმაროს კიდეც.

### პაკო სეირული
### „ბარსელონას" ფიზიკური მომზადების მწვრთნელი

ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები აქვს, ოღონდ ეს ყველაფერი მის ადამიანურ თვისებებს ვერ შეედრება. დააკვირდით — რონალდინიოს ირგვლივ ყოველთვის მხიარულება სუფევს...

### მაქსი ლოპესი

იცით, ყველაზე მეტად „ბარსელონაში" ჩამოსვლისას რონალდინიომ რითი გამაკვირვა? — უბრალოებით. აქ რომ მოვედი, რონიზე სხვანაირი წარმოდგენა მქონდა, ვფიქრობდი, „ბარსას" და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი სხვანაირი, თავისებურად ცხვირაწეული იქნებოდა. ის კი უბრალოა, მორცხვიც კი...

### რაფაელ მარკესი

მასში მთავარი ადამიანობაა, რასაც ჩვენ მოედანზე და მის გარეთაც ყოველდღე გვიჩვენებს. მხიარულია და ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობს. გაუჩოს პრობლემები გაურბიან, მისი სიკეთისა ეშინიათ.

### ედმილსონი

ოქრო ბიჭია, რომელიც მოედანზე ფანტასტიკურმა წარმატებებმა პიროვნულად ვერ შეცვალა. უბრალოდ, ძლიერი და მხიარულია. ოთხი წელია, რაც ვიცნობ და ნაღვლიანი ჯერ არ მინახავს. რონალდინიოზე ცუდს ვერაფერს გეტყვით, რადგანაც უარყოფითი თვისებები არ გააჩნია.

### ტიაგო მოტა

ვიტყოდი, რომ იგი ღმერთმა უნიკალური — სხვათა გამხნევების ნიჭით დააჯილდოვა. ეს როგორც „ბარსელონასთვის", ასევე პირადად ჩემთვისაც დიდ რამეს ნიშნავს. ტრავმა რომ მივიღე, ფსიქოლოგიურად დათრგუნული ვიყავი, რონალდინიო კი ძალიან დამეხმარა. როცა იგი გვერდით არის, ტრავმაზე, ტკივილზე და სხვა ამგვარ ცუდ რაღაცეებზე ველარ ფიქრობ...

### ალბერტ ხორკერა
### „ბარსელონას" სათადარიგო მეკარე

მაგარი ტიპია, მხიარული, წესიერი, ზრდილობიანი და იუმორის გრძნობის სავსე. მე მას მოედანზე და ცხოვრებაშიც სამაგალითოდ დავასახელებდი.

### სილვინიო

ბევრს უკვირს, ასე ახალგაზრდა ლეგენდად ყოფნას როგორ უმკლავდება და გამოგიტყდებით, მათ შორის მეც მოვიაზრები... რონი პასუხისმგებლობის უდიდესი ტვირთიც არ აშინებს და დარწმუნებული ვარ, მოედანზე თუ ცხოვრებაში ნებისმიერი დაბრკოლების დანახვაზე მხოლოდ ეცინება-ხოლმე... ჭეშმარიტი ლიდერია, თუმცა იმავდროულად შესანიშნავი პიროვნებაც და ჩვენთან გუნდში დიდი მხიარულება შემოაქვს.

### ხავი

პრესა-ტელევიზიამ „ჯადოქარი" „ჩელსისთან" თამაშის მერე შეარქვა, ჩემთვის კი რონი უკვე დიდი ხანია, რაც ჯადოქარზე მეტს წარმოადგენს. ხალისიანი, შესანიშნავი ბიჭია, რომლის იუმორსაც ვერასდროს დაივიწყებ. რონალდინიოზე, როგორც ფეხბურთელზე კი ბევრს არ ვილაპარაკებ — მოედანზე თავისი საქმე სხვაზე გაცილებით უკეთ იცის...

### დეიზი
### რონალდინიოს და

ბუნებრივია, უცხოსთანაც ისე გულითადად იქცევა, როგორაც შინ, ოჯახურ გარემოში... სხვანაირად არც შეიძლება იყოს — პირადად მე მედიდური ან გულჩათხრობილი რონის წარმოდგენა ძალიან გამიჭირდება.

### ფრანკ რაიკარდი

იგი მსოფლიოში განუმეორებელია და „იძულებული ვარ", მასთან ასევე უნიკალური მეთოდებით ვიმუშაო... რონალდინიოს ოდენ სიკეთეს და წარმატებას ვუსურვებ.

### ხუან ლაპორტა
### „ბარსელონას" პრეზიდენტი

რონალდინიომ ამ ორ წელიწადში თავისი საფეხბურთო მაგია ჩვენს სამასახურში ჩააყენა. იგი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ჩემი სურვილი იქნება, მომავალშიც „კამპ ნოუზე" იბურთაოს. მგონი, ამაში მთელი ბარსელონური ინჩადა დამეთანხმება...

### სანდრო როსელი
### „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი

დიდი ფეხბურთელი და დიდი ადამიანია. ძვირფასო რონალდინიო, მუდამ წინსვლას და ახლანდელზე უფრო ჯადოსნურ თამაშს გისურვებ!

### ჩიკი ბეგირისტაინი
### „ბარსელონას" სპორტული დირექტორი

ამ ბიჭს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი სათქმელი. ახლა მხოლოდ 25 წლისაა და ნახავთ, რამდენიმე ხნის შემდეგ მსოფლიოს ინჩასობას ადრინდელზე მეტად თუ არ გადარევს. ოღონდ „ბარსელონას" მაისურით, რა თქმა უნდა.

### კარლოს ალბერტო პარეირა
### ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი

ბურთისთვის ბრძოლა ბევრ ფეხბურთელს შეუძლია, მაგრამ მოედანზე თამაშის ბედის გადაწყვეტა ძალიან ცოტას. რონი ამ უკანასკნელთა ბრწყინვალე წარმომადგენელია. ერთი შეხედვით, თითქოს არასერიოზული მოგეჩვენებათ, რაც შეცდომაა — მოედანზე მის მსგავს გაწონასწორებულ ფეხბურთელს იშვიათად ნახავთ. ხასიათს რაც შეეხება... დეკემბერში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული რომ მიაკუთვნეს, ჩვენთან ერთად ჰონკონგის ტურნირზე წამოვიდა, იქ მატჩის დროს მოედანზე ვუყურებდი და ვფიქრობდი, ამას არაფერი შეცვლის, მთელი მსოფლიოს ტიტულები და სიმდიდრე ფეხებთან რომ დაუხვავო, ისევ იგივე, უბრალო რონალდინიო იქნება-მეთქი. ნაკრებში სწორედ ამიტომ გვიყვარს, ჯილდოები და წარმატებები თავში არ ავარდნია. დარწმუნებული ვარ, გერმანიის მუნდიალზე ბრაზილიის ეროვნული გუნდის ლიდერი იქნება და ბრაზილიის მეექვსედ გაჩემპიონებაში თავის დიდ წილს დაიდებს.

## ლადო ხომერიკი

### ხოსე კარერასი
### ტენორი

რონალდინიომ მთელ ბარსელონურ ფანობას საჩემპიონო ოცნება დაუბრუნა. კარგა ხანია, რაც „კამპ ნოუს" ინჩასი ვარ და უკვე შემიძლია, გულშემატკივართა სახელით ვილაპარაკო — მარტო შედეგიანი ფეხბურთით „ბარსას" ქომაგებს ვერავინ მოხიბლავს, გაუჩომ ეს პირადი თვისებებისა და პროფესიონალიზმის საოცარი შეთავსებით მოახერხა. ძვირფასო რონი, ჩვენთან კიდევ დიდხანს და წარმატებით ბურთაობას გისურვებ!

### დეიან ბოდიროგა
### კალათბურთელი

დაბადების დღეს გილოცავ, ძმაო. ჯანმრთელობას და ცხოვრებაში წინსვლას გისურვებ, რადგანაც სპორტში უკვე თითქმის ყველაფერს მიაღწიე. შენი „ბრალია", მთელი ბარსელონა ფეხბურთზე ძველებურად რომ ლოცულობს. რონალდინიოს თამაში კარგი წამალივითაა, რაც არ უნდა ცუდ განწყობაზე იყო, მოედანზე „ბარსას" ათიანს შეხედე და უკვე ყველაფერი კარგადაა.

### ბარუფე
### ხელბურთელი

როგორც ფეხბურთელი, ვარსკვლავია, შესანიშნავი ტექნიკა აქვს და ლიდერის თვისებებსაც ამჟღავნებს. ყოველთვის მეგობრული და მგრძნობიარეა. ასეთებმა ცუდადაც რომ ითამაშონ, გუნდის მობილიზება და დანარჩენი ფეხბურთელების გამარჯვებისთვის დარაზმვაც იციან. თანაც ჩინებული პიროვნებაა, კარგი იუმორი აქვს.

### ლუის ფერნანდესი
### პსჟ-ში რონალდინიოს დამრიგებელი

ევროპულ გუნდებში მისი პირველი მწვრთნელი ვარ და შესაბამისად, რონალდინიოს არაბრაზილიურ ფეხბურთთან მორგება პირველად მე შევნიშნე. მოედანზე გაუჩოს საუკეთესო თვისებები სისწრაფე, საზრიანობა და გენიალურობაა... ნამდვილი ვარსკვლავია, თამაშის 80 წუთის განმავლობაში შეიძლება არაფერი გააკეთოს, მაგრამ დარჩენილ დროში ერთი-ორი ფინტი და მატჩის ბედიც გადაწყვეტილია. უარყოფითი მხარეებიდან მცირედ არასტაბილურობას დავასახელებდი, თუმცა ყველაფერი წინ არის და რახან ასაკთან ერთად სერიოზულობა და პასუხისმგებლობა ემატება, დიდებულ სპექტაკლებსაც დაგვიდგამს.

### ჟილბერტო სილვა
### „არსენალის" მოთამაშე

რონალდინიო მოცეკვავესავითაა. როცა ბურთი აქვს, გეჩვენება, რომ რაღაც საოცარ, სამხრეთამერიკულ ცეკვას ასრულებს...

### ედუ
### „არსენალის" მოთამაშე

თუ ჯერჯერობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ყველას არ უღიარებია, გული არ დასწყდეს, მალე აღიარებენ. ამისთვის ნიჭიც ეყოფა და ქარიზმაც. „ბარსა" მისთვის შესანიშნავი ტრამპლინია.

### არანტა სანჩეს ვიკარიო

იგი ფენომენია, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს [illegible] ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 3 | დონკასტერი-ბრედფორდი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 17:45 | 4 | ლუტონი-ბარნსლი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 18:00 | 5 | პიტერბრო-კოლჩესტერი | 2.55 | 3.3 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.4 |
| 18:00 | 7 | დონსი-სუინდონი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 8 | ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 24 | საუთენდი-როჩდეილი | 1.7 | 3.4 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.9 |
| 18:00 | 25 | ბერი-გრიმსბი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 26 | ლეიტონი-ჩელტენემი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:30 | 27 | სკანთორპი-ოქსფორდი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 22:45 | 28 | შრიუსბერი-კემბრიჯი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 22:45 | 29 | რაშდენი-ლინკოლნი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 30 | სუონსი-მაკლსფილდი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:45 | 31 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 32 | მენსფილდი-ჩესტერი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 47 | კონვი-აკრინგტონი | 2.55 | 3.3 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.4 |
| 22:45 | 48 | ბარტონი-ალდერშოტი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 49 | მორიკომბი-ჰერეფორდი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 284 | ექსეტერი-დაგ ენდ რედი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 50 | უოკინგი-სკარბორო | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 71 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 1.7 | 3.5 | 3.85 | 1.14 | 1.17 | 1.83 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 285 | ალოა-მორტონი | 2.55 | 3.5 | 2.25 | 1.47 | 1.19 | 1.36 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 75 | კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 2.1 | 3.5 | 2.8 | 1.31 | 1.2 | 1.55 |
| 22:30 | 76 | ელგინი-ქუინზ პარკი | 2.25 | 3.6 | 2.5 | 1.38 | 1.18 | 1.47 |
| 18:00 | 77 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 2.05 | 3.5 | 2.8 | 1.29 | 1.18 | 1.55 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 79 | კილი-ლიუბეკი | 2.25 | 3.4 | 2.6 | 1.35 | 1.2 | 1.47 |
| 18:30 | 286 | ჰამბურგი(მ)-უნიონი | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 18:30 | 287 | არმინია(მ)-ჰერტა(მ) | 2.25 | 3.5 | 2.55 | 1.36 | 1.19 | 1.47 |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 80 | ოსნაბრიუკი-დორტმუნდი(მ) | 1.5 | 3.8 | 5.0 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 21:30 | 81 | ზტ.პაული-პადერბორნი | 2.45 | 3.4 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| 21:30 | 82 | ურდინგენი-მიუნსტერი | 1.75 | 3.6 | 3.5 | 1.17 | 1.16 | 1.77 |
| 21:30 | 83 | ვუპერტალი-ქემნიცი | 2.0 | 3.5 | 3.0 | 1.27 | 1.2 | 1.61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 94 | ზიგენი-აალენი | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 21:00 | 97 | ელვერსბერგი-აუგსბურგი | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 95 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 2.05 | 3.5 | 2.8 | 1.29 | 1.18 | 1.55 |
| 21:00 | 96 | მაინცი(მ)-კიკერსი | 2.2 | 3.1 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 98 | დარმშტადი-ფულენდორფი | 1.55 | 3.7 | 4.8 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 106 | ლუცერნი-ბულე | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 21:30 | 107 | ვადუცი-ვოლენი | 1.3 | 4.4 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.77 |
| 21:30 | 108 | ვადუცი-ვოლენი 0:1 | 1.85 | 4.0 | 2.75 | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 109 | ვინტერთური-კრინსი | 1.75 | 3.3 | 3.9 | 1.14 | 1.2 | 1.78 |
| 21:30 | 110 | ლუგანო-ბადენი | 1.2 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.33 |
| 21:30 | 111 | კონკორდია-სიონი | 2.65 | 3.1 | 2.3 | 1.42 | 1.23 | 1.32 |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 112 | იუვენტუსი-ბოლმი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 21:30 | 113 | მეირინი-ბელინცონა | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **23 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 183 | ლეჩნა-პოლონია | 1.75 | 3.3 | 3.85 | 1.14 | 1.2 | 1.77 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | **22 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 290 | პალი-ლინცერი | 2.8 | 3.2 | 2.2 | 1.49 | 1.23 | 1.3 |

CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 291 | ქსანთი-ლარისა | 1.35 | 4.1 | 6.6 | 1.01 | 1.12 | 2.52 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 288 | კობრელოა-ონსე კალდასი | 2.2 | 2.9 | 3.0 | 1.25 | 1.26 | 1.47 |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 289 | ჩივასი-სან ლორენსო | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 301 | სლოვანი-ტრენჩინი | 2.0 | 4.3 | 2.4 | 1.36 | 1.09 | 1.54 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 308 | აისბარენი-აუგსბურგი | 1.35 | 4.6 | 4.5 | 1.04 | 1.03 | 2.27 |
| 21:30 | 309 | ნიურნბერგი-მანჰაიმი | 1.85 | 4.4 | 2.6 | 1.3 | 1.08 | 1.63 |
| 21:30 | 310 | კიოლნი-ინგოლშტადი | 1.8 | 4.3 | 2.8 | 1.26 | 1.09 | 1.69 |
| 21:30 | 311 | ფრანკფურტი-ჰამბურგი | 1.45 | 4.6 | 4.2 | 1.1 | 1.01 | 2.19 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 316 | დავოსი-ბერნი | 1.7 | 4.5 | 2.9 | 1.23 | 1.07 | 1.76 |
| 22:00 | 317 | ციურიხი-ცუგი | 1.75 | 4.4 | 2.8 | 1.25 | 1.07 | 1.71 |
| | | კალათბურთი | | | | | | |
| | | ევროლიგა | | | | | | |
| | | 23 მარტი | | | | | | |
| 20:10 | 432 | ცსკა-რეალი | 1.2 | 12.0 | 4.0 | 1.09 | 1.0 | 3.0 |
| 20:40 | 433 | ულქერი-სიენა | 1.8 | 12.0 | 1.75 | 1.56 | 1.0 | 1.52 |
| 22:40 | 434 | ბოლონია-ჟალგირისი | 1.15 | 12.0 | 4.3 | 1.04 | 1.0 | 3.16 |
| 22:40 | 435 | ტაუ-პანათინაიკოსი | 1.45 | 12.0 | 2.3 | 1.29 | 1.0 | 1.93 |
| | | 24 მარტი | | | | | | |
| 20:10 | 436 | აეკ-პროკომი | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| 21:40 | 437 | მაკაბი-ციბონა | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| 22:40 | 438 | ბარსელონა-სკავოლინი | 1.25 | 12.0 | 3.3 | 1.13 | 1.0 | 2.58 |
| 22:40 | 439 | ბენეტონი-ეფესი | 1.5 | 12.0 | 2.4 | 1.33 | 1.0 | 2.0 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# შემონდი ზომონდია

## ტატო ვასვალიოს მიაფრენს



შემონდ უილიამსი

**ხეირიანი** გამთამაშებელი — აი, ქართული ნაკრების ბოლოდროინდელი მთავარი პრობლემა! საიმედო პლეიმეიკერი რომ გვყავდეს, ამას ვიზამდით, იმასო, გამუდმებით ბაქიბუქობდნენ ქართული კალათბურთის ქომაგნი. აგერ, ბატონო, გვყავს საიმედო კი არა ძალიან მაგარი გამთამაშებელი და სწორედ მის იმედზე ვართ ფინეთ-მაკედონიასთან სასექტემბრო გადამწყვეტი ჯახებისას.

ეს შესავალი კი იმად დაგვჭირდა, რომ შემონდ უილიამსმა გასულ კვირას ერთხელაც დაატრიალა დიდი ამბები რუსეთის მოედნებზე და საქვეყნოდ ცხადყო, რომ ბებერ კონტინენტზე თავის ამპლუაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

უილიამსის „უნიკსმა“ ორი ბრძოლა გადაიტანა თანამემამულე „ხიმკისთან“, ოღონდ ეს რკენა არა რუსეთის ჩემპიონატის, არამედ ფიბა-ევროლიგის ეგიდით იყო. ყაზანელებმა აქამდე პლეი ოფიდან უკრაინული „ხიმკი“ გააგდეს და ახლა მოსკოველ ქიმიკოსებთან არკვევენ ურთიერთობას. პირველი მატჩი „უნიკსმა“ 85:95 წააგო მოსკოვში, თუმც მერე ყაზანში იმარჯვა და ხვალ გადამწყვეტ მატჩს გამართავს.

სერიის საწყისი ორი შეხვედრა კი შემონდ უილიამსის ბენეფისად იქცა. ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა წაგებულ შეხვედრაში 29 ქულა მოაგროვა, მოგებულში კი 35 და თავისი ძლევამოსილებით ყველა დაჩრდილა. გადამწყვეტ მატჩს „ხიმკი“ უმასპინძლებს მოსკოვში და ყაზანელები უილიამსის იმედად არიან.

უილიამსის კვალზე შედეგიანად ითამაშეს ხუთჯვაროსანთა ლეგიონის სხვა წევრებმაც. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვიქტორ სანიკიძის ქებული გარჯა — „დიჟონის“ 19 წლის ფორვარდმა საფრანგეთის ჩემპიონატში „კამპანს“ 17 ქულა ჩაუგდო.

სანიკიძის კარგი თამაში იმიტომაცაა სასიამოვნო, რომ ამ ახალგაზრდას ამას წინათ დაშავებული მუხლები აწუხებდა და მის კარიერას საფრთხე ემუქრებოდა, ახლა კი, ეტყობა, სანიკიძემ საბოლოოდ მოიშუშა ფეხები და „დიჟონის“ ძირითადშიც იოლად დაიმკვიდრა ადგილი. ამ ბოლო დროს ის სისტემატიურად თამაშობდა და შედეგიანადაც, ახლა კი მისთვის სეზონის საუკეთესო მატჩი გამოაცხო.

„დიჟონმა“ 105:55 გააცამტვერა „კამპანი“ და ამ მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე სწორედ სანიკიძე გახლდათ. „ვიკამ“ 26 წუთი დაყო მოედანზე და 17 ქულას 10 მოხსნაც მოაყოლა.

ბრწყინვალედ ითამაშა ვლადიმერ ბოისამაც და საერთოდ, ეს კვირა ევროპაში მოთამაშე ქართველებისთვის საკმაოდ წარმატებული გამოდგა. „ოლიმპიას“ კაპიტანი ბოისა თავის გუნდს თანამემამულე „ჰელიოსის“ დამარცხებაში დაეხმარა, ლიუბლიანური კლუბი კი ამ გამარჯვებით ადრიატიკის ლიგის სათავეში გამაგრდა.

ვოვამ 31 წუთში 20 ქულა აართვა ჰელიოსელებს და არც ფარქვეშ შეურცხვენია თავი — 5 ბურთი მოხსნა.

სამწუხაროდ, ისევ არ უთამაშია მანუჩარ მარკოიშვილს, რომელმაც ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ჯერ მწყობრში ვერაა.

სამაგიეროდ, ჯანზეა ლიტვურ „პასვალიოში“ მოთამაშე ტატო ვაშაკიძე, რომელმაც მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მატჩში გამოიჩინა თავი. „პასვალიო“ პირველი ლიგის ლიდერია, ალბათ უმაღლესშიც გადავა და ამ საქმეში პირველ რიგში ქართველ გამთამაშებელს ეტყვის მადლობას.

„პასვალიომ“ ახლახან მოიპოვა პირველი ლიგის ლიდერობა და ამ ტურში მდევარ „კლაიპედასთან“ სხვაობა უფრო გაზარდა. ვაშაკიძის გუნდმა ეს კონკურენტთან უშუალო ბრძოლით მოახერხა და ამ მატჩის გმირი სწორედ ქართველი ლეგიონერი შეიქნა.

„პასვალიომ“ 93:92 დაამარცხა „კლაიპედა“ და ვაშაკიძე 22 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

თუ ევროპიდან ასეთი კარგი ამბებია, ოკეანგაღმა მოთამაშე ქართველების გარჯით ძნელად თუ დავიკვეხნით. ეს არ ეხება ზაზა ფაჩულიას, რომელმაც ბოლო მატჩში „ვაშინგტონთან“ კარგი შედეგი აჩვენა — 20 წუთში 13 ქულა ჩააგდო. მანამდელ შეხვედრაში კი შედარებით მოკრძალებული იყო.

ნიკა ცქიტიშვილს საშველი არც „გოლდენ სტეიტში“ დაადგა. „ვორიორზი“ ბოლო მატჩებში საათივით აწყობილად თამაშობს და მოედანზე ქართველი ფორვარდის ადგილი ვერ გამოიძებნა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | ს | 80:68 | 31 | 20 | 5 | 1 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრაიტიკის ლიგა | ჰელიოსი | ს | 80:68 | არ უთამაშია | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი | კამპანი | შ | 105:55 | 26 | 17 | 10 | 2 | 0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა | ხიმკი<br>ხიმკი | ს<br>შ | 85:95<br>83:75 | 38<br>38 | 29<br>35 | 4<br>9 | 6<br>1 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | მულჰაუსი | შ | 78:96 | არ უთამაშია | | | | |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | რეფლექსი | ს | 71:78 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | კლაიპედა<br>იონიშკი | შ<br>ს | 93:92<br>89:94 | 34<br>24 | 22<br>11 | 1<br>6 | 2<br>2 | 3<br>3 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | გ. სტეიტი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | საკრამენტო<br>ფინიქსი<br>ჰიუსტონი | შ<br>ს<br>შ | 100:97<br>110:100<br>94:97 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | | |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მაიამი<br>ვაშინგტონი<br>კლივლენდი | ს<br>შ<br>შ | 71:110<br>99:90<br>96:88 | 18<br>20<br>არ უთამაშია | 3<br>13 | 3<br>6 | 1<br>0 | 1<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონ 56



— 19 მარტი —

**დენვერი 114:103 მილუოკი**

დენვერი: მილერი (22), ჯონსონი (9), ენტონი (15), მარტინი (19), კემბი (9); ნახერა (12), ბოიკინსი (10), ბაკნერი (6), პერსონი (6)

მილუოკი: უილიამსი (5), რედი (23), მეისონი (24), სმიტი (10), გაძურიჩი (10 ქულა, 12 მოხსნა); კუკოჩი (12), *ფაჩულია* (20 წუთი, 8 ქულა, 11 მოხსნა, 1 პასი), ფიზერი (8), გოლდვაირი (3)

**საკრამენტო 94:104 გოლდენ სტეიტი**

საკრამენტო: ბიბი (24), ევანსი (5), სტოიაკოვიჩი (14), სონგაილა (15), სკინერი (4); ტომასი (18), ჰაუსი (2), მარტინი (2), დანიელსი

გოლდენ სტეიტი: ფიშერი (8), დევისი (13), დანლივი (13), მერფი (29 ქულა, 14 მოხსნა), ბიედრინსი (12 ქულა, 10 მოხსნა); ჩაბარკაპა (17), პიეტრუსი (5), ვაიტი (4), *ცქიტიშვილი* (8 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 პას)

**ტორონტო 105:98 კლივლენდი**

ტორონტო: როუზი (30), მარშალი (24 ქულა, 10 მოხსნა), ალსტონი (16)

კლივლენდი: ჯეიმსი (56 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი), გუდენი (24 ქულა, 10 მოხსნა)

**მინესოტა 94:86 ჰიუსტონი**

მინესოტა: გარნეტი (30 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (20), კასელი (18)

ჰიუსტონი: მინგი (21), მაკგრეიდი (15)

**ლეიკერსი 100:102 სიეტლი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (30), ბატლერი (29)

სიეტლი: ლუისი (27 ქულა, 11 მოხსნა), მიურეი (25)

**დეტროიტი 110:101 სან ანტონიო**

დეტროიტი: ბილაფსი (25), პრინსი (22), რ. ვოლესი (15)

სან ანტონიო: ბრაუნი (18), უდრიჰიხი (15), ჯინობილი (14)

**ინდიანა 85:94 ნიუ ჯერსი**

ინდიანა: ჯექსონი (21), ჯონსონი (18)

ნიუ ჯერსი: კარტერი (39 ქულა, 11 მოხსნა), კრსტიჩი (18), კიდი (14 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)

**მემფისი 91:97 ფინიქსი**

მემფისი: ბეტიე (20), რაიტი (19), მილერი (15)

ფინიქსი: ჯონსონი (28), რიჩარდსონი (18), სტუდემაიერი (15), მარიონი (14 ქულა, 16 მოხსნა), ნეში (13 ქულა, 13 პასი)

**ლებრონ ჯეიმსს** ცხოვრებაში არ უთამაშია ასე კარგად, მაგრამ მხოლოდ ამ 20 წლის შავი მზეჭაბუკის იმედად მყოფ „კლივლენდს“ ქვესამუალო „ტორონტოს“ დასამარცხებლად ესეც ვერ ეყო.

ლებრონმა 56 ქულა მოიხვეჭა და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ნბა-ს ისტორიაში, ვინც 50-ქულიანი ზღვარი გადალახა. მანამდე ამ რეკორდს რიკ ბერი ფლობდა, რომელმაც შორეულ 60-იან წლებში „ნიუ იორკთან“ 57 ქულა 21 წლისამ მოინაგრა. ლებრონმა, აგრეთვე, 6 ქულით გაუმჯობესა სრულიად „კლივლენდის“ რეკორდი, მაგრამ რად უნდა, მისიანებმა ბევრიც ვერაფერი მიაშველეს და ყმაწვილ ლიდერს ზეიმი ჩაუმწარეს. ერთი დრიუ გუდენი თუ ანძრევდა ხელს, სხვები კი... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ტორონტოელმა სათადარიგოებმა 34:1 აჯობეს კლივლენდელ რეზერვისტებს.

ნამატჩევს კომენტარი რომ სთხოვეს, ჯეიმსმა ესღა წაიბუტბუტა — მერჩივნა, მოგვეგოო.

სამაგიეროდ, მასზე დაუფარავი აღტაცებით საუბრობენ სხვები. პოლ საილასი, „კლივლენდის“ თავკაცი: „ის კიდევ ბევრ რეკორდს დაამხობს. ლებრონმა დღეს პირდაპირ ცეცხლი დაანთო მოედანზე. ის საშინლად მაგარია, დიდებული განცდაა მისი ყურება.“

დრიუ გუდენი, თანაგუნდელი: „ისინი (ტორონტოელები) ყველა ხერხით ცდილობდნენ მისგან თავის დაცვას, მაგრამ ლებრონი მაინც დაუსრულებლად ყრიდა და ყრიდა ბურთებს. წარმოგიდგენიათ? ვიღაც ბიჭი პირდაპირ სკოლიდან მოვიდეს ნბა-ში და უკვე მეორე სეზონში ასეთი რამეები აკეთოს.“

დონ მარშალი, „ტორონტოს“ ფორვარდი: „ის მაიკლ ჯორდანს მაგონებს, ოღონდ გათვალისწინეთ, ჯორდანის დამარცხებაც არაა შეუძლებელი. „გოლდენ სტეიტში“ რომ ვთამაშობდი, ბიჯეი არმსტრონგმა ერთხელ მასწავლა მაიკლის დამარცხების რეცეპტი: ნება უნდა მისცე მას, აკეთოს რაც უნდა და დააგროვოს თავის წილი ქულები, სამაგიეროდ, ყველანაირად უნდა შებოჭო თანაგუნდელები. მარტო რას იზამს?. 100 ქულს ხომ ვერ ჩააგდებს? ახლა ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით.“

ჰოდა, მასპინძელთაგან ლამის მარტო ჯეიმსი თამაშობდა. ცხადია, ცდებოდა კიდეც და ისე გამოვიდა, ეს შეცდომები გადამწყვეტ ეპიზოდებშიც ვერ აირიდა. 103:98 ანგარიშზე, საფინალო სირენამდე 23 წამით ადრე, ლებრონი მეტოქის სამწამიანში შეიჭრა და ერთბაშად ოოხ მოწინააღმდეგეს შორის გაკავებულმა ბურთი დაკარგა, რასაც ტორონტოელი რაფერ ალსტონის სწრაფი გარღვევა და ორქულიანი მოჰყვა. დარჩენილ დროში ლებრონმა ორი სამქულიანიც ააცილა (მანამდე 10 ცდიდან 6 ჩაეგდო) და მისი გუნდიც მოგებას გამოემშვიდობა.

სხვათა შორის, ლებრონ ჯეიმსმა შეუცვლელად ითამაშა 48 წუთი...

**კოტე ყორშია**



# სამი ნაბიჯი ტიტულამდე

## შავი ზღვა ოსაკაში ბობოქრობს

**იაპონიაში,** ქალაქ ოსაკას გიმნაზიუმში პლანეტის უძლიერესი რიკიშები შეიყარნენ და 27 მარტამდე სეზონის მეორე სუპერტურნირს, იგივე ბაშოს ჩაატარებენ. შეჯიბრმა უკვე ეკვატორი გადალახა და ლიდერ-აუტსაიდერებიც გამოიკვეთნენ, თუმც მონღოლი თუ იაპონელი ცენტნერკაცების ბლამუნის მიმოხილვით თავს არ შეგაწყენთ.

სუმო ჩვენში არცთუ პოპულარული სპორტის სახეობაა და ერთადერი, ვის გამოც ვწერთ, ჩვენებური ლევან ცაგურია, იგივე კოკაი ან უბრალოდ „შავი ზღვაა“.

ცხრა ტურის შემდეგ ქართველის მოგება-წაგებათა ბალანსი დადებითია და ერთი საფეხურით მაღალი ტიტულის მოპოვებამდე სამი გამარჯვებალა რჩება. ქვემოთ კოკაის ოსაკურ გზას გთავაზობთ:

დღე პირველი: „შავი ზღვა“ თავისზე ოცი კილოგრამით მძიმე კომუსუბის ტიტულოსან ივაკიამას შეხვდა და შვიდ წამში დაამარცხა.

დღე მეორე: კიდევ უფრო ტიტულიან მეტოქესთან, სეკივაკე ხაკუხოსთან ქართველს აქამდე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა, მაგრამ ახლა საერთო ანგარიში 2:2-ია და ამ გამარჯვებისთვის ჩვენებურს სულ რაღაც ორი წამი დასჭირდა.

დღე მესამე: გამარჯვებების სერია გრძელდება. კოკაიმ ისევ თავისზე მაღალი რანგის რიკიშს სძლია. სეკივაკე მიაბიამას უპირატესობა „შავ ზღვასთან“ ზედმეტი 20 კილოგრამი იყო, მაგრამ ათიოდ წამში მძიმე ძირს დაენარცხა.

დღე მეოთხე: პირველი მარცხი. თავისსავით მეოთხე მაეგასირა ტოჩინონადასთან აქამდე არსებული დადებითი ბალანსი ოსაკური დაჭიდების შემდეგ განიავდა.

დღე მეხუთე: კოკაიმ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. მართალია, საწყის ტურებში მეორე მაეგასირა კოტომიცუკიზე ბევრად ძლიერი რიკიშებიც წააქცია, მაგრამ ამ იაპონელის ძლევის განსაკუთრებულობა სტატისტიკით აიხსნება. აქამდე კოკაი-კოტომიცუკი ხუთჯერ დასჭიდებოდნენ ერთმანეთს და ხუთჯერვე აზიელს მოეგო. ნავსი სულ რაღაც ხუთ წამში გატყდა.

დღე მეექვე: კოკაი ლიდერთა ოთხეულში დამკვიდრდა. მეშვიდე მაეგასირა ჯუმონჯისთან თავიდანვე ფავორიტად კი მიიჩნეოდა, მაგრამ საკმაოდ გაუჭირდა. მეტოქის წასაქცევად ნახევარი წუთი დასჭირდა.

დღე მეშვიდე: კოკაიმ წაიფორხილა. მერვე მაეგასირა ტაკამისაკარის უპირატესობა ყველა მეტოქესთან ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერაა. იგი იაპონიის ერთ-ერთ უპოპულარულეს რიკიშად მიიჩნევა და, როგორც ჩანს, „შავი ზღვა“ ამანაც „გადააცურვინა“.

დღე მერვე: ქართველმა ისევ წააგო და სპეციალისტებიც მის ინერტულობაზე ალაპარაკდნენ. აქაოდა, ოსაკურ ბაშოზე უცუდესი ბრძოლა ჩაატარაო. გამარჯვებულმა ოძეკი ტოჩიაძუმამ კი თავადაც აღიარა, დღეს უძლიერესად ვიჭიდავეო.

დღე მეცხრე: ოცდამეერთე საუკუნის პირველ იოკოძუნა ასასიორუს ქართველი აქამდე ოთხჯერ დასჭიდებოდა და ოთხჯერვე დაძაბულ ბრძოლაში წაეგო. მიმომხილველებიც ამ წყვილის დაპირისპირებას მუდამ ინტერესით აშუქებდნენ. სამწუხაროდ, კოკაიმ ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვია და მეხუთედ დამარცხდა, მაგრამ თავიდან უპირატესობას თავად ფლობდა. „ცისფერ დრაკონად“ წოდებულმა მონღოლმა შეტევა მშვიდად მოიგერია და იქვე შეუტია, წარმატებულადაც.

ოსაკური ბაშოს დასრულებამდე ექვსი დღე რჩება. „შავი ზღვის“ ანგარიშზე ხუთი მოგება და ოთხი წაგებაა და მომავალი ექვსი ბრძოლიდან სამიც რომ მოიგოს, მომავალ ბაშოზე ერთი რანგით მაღალი ტიტულით იჭიდავებს. მიმდინარე ბაშოს ლიდერი კი ასასიორუა ცხრა შეხვედრიდან ცხრა მოგებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ზე-თორმეტი

# გამარჯვების გემო

**პარასკევი-შაბათს** ზე-თორმეტის გათამაშებაში მეოთხე ტური რომ გაიმართა, ამას ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან უკვე შეიტყობდით. ანგარიშებზეც გექნებათ თვალი გადავლებული.

აქ იმასღა დავამატებთ, რომ სამხრეთაფრიკულმა „ბულზმა“, როგორც იქნა გამარჯვებას გაუსინჯა გემო და ეს „ჰარიკეინსთან“ გასვლაზე მოახერხა. ველინგტონში შეკრებილი გულშემატკივარი საყვარელი გუნდის წაგებს ნაღდად არ ელოდა. აქამდე ხომ „ჰარიკეინსს“ სამივე მატჩში გამარჯვებით გაენებივრებინა.

„ვარატასმა“ მეოთხე გამარჯვება მიითვალა, თუმცა „სტორმერსთან“ შეხვედრაში ბონუს-ქულის აღება ვერ შეძლო. ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიურმა „ბრამბისმაც“.

**ლადო ფულუკიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ს | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვარატასი | 4 | 4 | 0 | 0 | 126:49 | 3 | 19 |
| ბრამბისი | 4 | 4 | 0 | 0 | 109:88 | 2 | 18 |
| ქრუზეიდერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 171:93 | 3 | 15 |
| ჰარიკეინსი | 4 | 3 | 0 | 1 | 110:86 | 1 | 13 |
| ჰაილენდერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 96:53 | 1 | 11 |
| ბლუზი | 4 | 2 | 0 | 2 | 76:88 | 0 | 8 |
| სტორმერსი | 4 | 1 | 2 | 1 | 71:75 | 1 | 7 |
| ბულზი | 4 | 1 | 0 | 3 | 57:79 | 2 | 6 |
| ქეთსი | 4 | 1 | 0 | 3 | 103:136 | 2 | 6 |
| რედსი | 4 | 1 | 0 | 3 | 69:107 | 2 | 6 |
| ჩიფსი | 4 | 1 | 0 | 3 | 49:104 | 0 | 4 |
| შარქსი | 4 | 0 | 0 | 4 | 55:134 | 1 | 1 |



# ფედერერის კიდობანი ივსება



**PACIFIC LIFE OPEN**
ინდიან უელსი. მაგარსაფარი ვაკეები. საპრიზო 2,725 მლნ $

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) 6:2 6:4 6:4**

**წინა** საღამოს ენდი როდიკთან გადატანილი სამტაიბრეიკიანი განდაგანის ბრალი იყო, უბრალოდ როჯერ ფედერერის დანახვაზე დაემართა ელეთ-მელეთი თუ ორივე ერთად ან არც ერთი ამათგანი, მაგრამ ფაქტი კია, რომ ლეიტონ ჰიუიტმა ვერც ამ ჯერზე გააწყო რამე ამქრის ზეგარდმო უსტაბაშის წინააღმდეგ და მასთან ზედიზედ უკვე მეშვიდედ დათმო.

როჯერ ფედერერმა კვლავაც უნაკლოდ იბურთავა, მეტოქე, ვის საამმომენტო ფორმასაც საუცხოო ეთქმის, საჩოგნეზეც არ გაიკარა და შარშან იქვე ნაშოვნი ტიტული ისე დაინარჩუნა, მთელ ტურნირზე სეტიც კი არავისთვის დაუნებებია.

ეს მისი მეოთხე საამსეზონო და 26-ე საკარიერო ტიტული გახლავთ და ის უკვე მე-17 ფინალია, აღარ მარცხდება. ასეთი რამის გაკეთება კი ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე მიახლოვებითაც არავის შესძლებია — მანამდელ რეკორდსმენებს, ბორგსა და მაკინროის მიჯრით მხოლოდ 11-11 ფინალში ემარჯვათ. აღსანიშნია ისიც, რომ წლეულს ფედერერმა ერთი მარცხის წილ უკვე 26 გამარჯვება მოიქუჩა, ხოლო ათვლას ათენის ოლიმპიადიდან თუ დავიწყებთ, 24 წლის ბაზელელი მარატ საფინთან ავსტრალიობის ნახევარფინალში წაფორხილების საპირწონედ 42 მოგებას დაიკვეხს. და კიდევ — წლის პირველ მასტერსტურნირზე გალაღებამ მისი საკარიერო მონაგარი უკვე 15 მილიონ დოლარს გადააცილა.

ფედერერთან მე-16 დაპირისპირებაში მეცხრედ ძლეულ ჰიუიტს მხოლოდ ისღა თუ ანუგეშებდა, რომ ნამტურნირევს მას ჩემპიონთა რბოლაში 253 ქულა დაუგროვდა და პირველობის მომდევნო ადგილზე მარატ საფინს ჩაეროქა. ამას გარდა მას შეეძლება იმითაც იტრაბახოს, რომ ფინალში ის უბრწყინვალესი გათამაშება მოიგო, ქე რომ მეორე სეტის მესამე გეიმში გაიათამაშდა. 40-ზე მეტდარტყმიანი ამ ზღაპრული დაკლურისას მან და ფედერერმა ქომაგთ ისეთი შუშპარა სანახაობა შესთავაზეს, როგორიც — ერთი დასავლელისა არ იყოს — ბოთლში უნდა შეინახო, წარლვნას რომ გადაურჩეს.

ისე კი, ახლა რომ ჩოგბურთის ღმერთებმა კორტს წარღვნა მოუვლინონ, ალბათ მხოლოდ ფედერერს გადაარჩენდნენ.

ჰო, მხიარული როჯერი ერთგვარად ნოეც გამოდის.

**არტემ ჩაჩანიძე**

**დიად** მაროკოელს ჰიჩამ ელ გურუჯის ათენის ოლიმპიადის წინ ერთადერთი ტიტული აკლდა, რომელიც, გამომდინარე იქიდან თუ როგორ დავიწყეთ წინადადება, ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს — ეს გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ძნელი გამოსაცნობი არც ის უნდა იყოს, რომ ათენში ელ გურუჯიმ თავის მედალთა ზეკოლექცია ამ ჯილდოთიც შეავსო. თან როგორ: ცხრა დღეში ერთი კი არა, ორი ოქრო მოიგო.

მერედა, ემოციას აღარ იკითხავთ? 1 500 მეტრზე რბენის ფენომენმა მოჭარბებული ბედნიერებისგან ისეთი ცრემლი ღვარა, შვიდ წელიწადში ოთხჯერ მოგებული მსოფლიოს ჩემპიონობისა და უამრავი მსოფლიოს რეკორდის ზეიმის წუთები მონაგონია. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოლიმპიადა ოლიმპიადაა და მეორეც იმიტომ, რომ ელ გურუჯის წინა ორი ოლიმპიური მცდელობა მარცხით დაუმთავრდა და, ეს ამბავი გულში ჰქონდა ჩახვეული.



ათენში ელ გურუჯიმ თავის მედალთა ზეკოლექცია ორი ოქროს მედლითაც შეავსო



ელ გურუჯი IAAF-ის ჯილდოთი

# უდაბნოს მირაჟი

პირველად 1996 წელს, ატლანტაში რომ დამარცხდა, მაშინდელმა მეფემ, ჰასანმა დაურეკა და სიტყვა-სიტყვით ასე უთხრა: ნუ სტირი შვილო, აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდები. შენ მაროკოელი ხალხის თვალში დღესაც გამარჯვებული ხარ.

შარშან, ათენში მეფე ჰასანის სიტყვები ორმაგად ახდა, როგორც 1 500 ასევე 5 000 მეტრზე რბენაში, რაც მსოფლიოს მძლეოსნობის ისტორიაში უნიკალური შედეგია. ამგვარად დაკმაყოფილდა როგორც თავად სპორტსმენის, ასევე მისი უდიდებულესობის აწ უკვე მემკვიდრის თავმოყვარეობა. დაურეკა კიდეც ტახტის მემკვიდრემ მძლეოსნობის მეფეს, რომელიც, ერთი ამერიკელი ჟურნალისტის თქმისა არ იყოს, ამიერიდან მეცხრე ცაზე ცხოვრობს, რადგან ყველაფერი აქვს: ალაჰის ყურადღება, სიმდიდრე, პატივი, მეფის კეთილგანწყობა, ჰყავს ერთგული მეუღლე და შვილები... მეტი რა უნდა უნდოდეს კაცს?

ახლავე მოგახსენებთ რაც: ჰიჩამ ელ გურუჯიზე ამბობენ, როგორც ნამდვილი უდაბნოელი არაბი, უდაბნოს ცხოვრებით ცხოვრობს და მირაჟებს ხედავს, მათკენ მიიწევს, მიდის, მაგრამ მირაჟი რის მირაჟია, ახალ ჰორიზონტზე ინაცვლებსო. ეს ჩაგვირისტებული არაბული გამონათქვამი ევროპელების ენაზე იმას ნიშნავს, რომ ელ გურუჯი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ახალ მიზნებს ისახავს. კერძოდ, 5 000 მეტრზე ოქროს მოგებამ დიადს სხვა დიადების სანახებში გადასვლა და მათი იქ დაჯაბნა აფიქრებინა. ალაჰ, აკბარ!

ახლავე აგიხსნით რამხელა ჩანაფიქრთანაც გვაქვს საქმე: იყო ასეთი ფინელი კაცი, ლეგენდარული პაავო ნურმი, რომელმაც 1924 წელს ოქროს მედალი 1 500 მეტრზეც მოიგო და 5 000 მეტრზეც. ეს შედეგი უნიკალურია, იგი ელ გურუჯიმდე არ გამეორებულა. თუმცა, ისტორიაში იყო ორი ბრინჯაო — ეს ჰოლანდიელმა გილი სლიკჰუისმა მოახერხა — და ოქრო-ვერცხლი, რომელიც კენიელმა კიპ კეინომ მოიპოვა. გარდა ამისა, ხუთმა მძლეოსანმა სხვადასხვა წლებში მოიპოვა ორი ოქროც, ოღონდ 5 000 და 10 000 მეტრზე რბენაში. ამავე დისტანციებზე ათ სპორტსმენს თორმეტჯერ მოუგია უფრო დაბალი ხარისხის მედლებიც თუმცა, პაავო ნურმის კიდევ ერთი შედეგია ხელუხლებელი და... კინაღამ წამოგვცდა, ელ გურუჯის ელოდებაო. ეს 1 500 მეტრის მოგების შემდეგ 10 000 მეტრზე გამარჯვება გახლავთ.

კიდევ, ელ გურუჯი ამ ზაფხულზე ჰელსინკიში დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატს ელის — 5000 მეტრზე რბენაში პლანეტის ჩემპიონობაც მონდომებია. ასე იცის მირაჟმა.

„შარშან ორივე ჯილდოს მოგებას კი ვგეგმავდი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად 1 500 მეტრზე გამარჯვება მიმაჩნდა. მართალი რომ გითხრათ, ჩემი ვარჯიშების მხოლოდ 20 პროცენტი ეძღვნებოდა 5 000 მეტრს, ხოლო მსოფლიოს რეკორდის დამხობა გულშიც არ გამივლია. ახლა უფრო მაღალ საფეხურზე გადავალ და შევეცდები 5 000 მეტრზე მსოფლიოს რეკორდი დავამყარო. ერთი სიტყვით, ამიერიდან 5 000 მეტრს სერიოზულად შევუტევ, ხოლო პეკინის ოლიმპიადაზე, ვფიქრობ, 10 000 მეტრზე სარბენადაც ვიყო მზად" — ამბობს ჩემპიონთა ჩემპიონი.

ჰელსინკისთან დაკავშირებით: თავიდან დაირხა ხმა, რომ ელ გურუჯი ერთხელაც გამოვა 1 500 მეტრზე, მაგრამ, შემდეგ მისმა მწვრთნელმა აბდელქადერ ქადამ დააზუსტა, რომ ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნამდვილად არ მოხდება.

„ისე კი ჰიჩამს 1 500 მეტრზე რამდენჯერმე კიდევ ვიხილავთ" — თქვა მან.

ახლა ერთ საინტერესო ამბავს გიამბობთ. ელ გურუჯის ატლასის მთებში, ზღვის დონიდან 1 500 მეტრზე იფრანში თავისი საწვრთნელი ბანაკი აქვს. საკმაოდ სპარტანული რამ გახლავთ ის ბანაკი, გარშემო დათოვლილი მწვერვალები აკრავს. ჰოდა, შარშან, გაზაფხულზე დიდ მძლეოსანს იმ ბანაკში ევროპელ ჟურნალისტთა ჯგუფი ესტუმრა, რომელმაც პირველი, რასაც ყურადღება მიაქცია, ის გახლდათ, რომ რამდენიმე გრადუს სითბოში ელ გურუჯის ძალიან თბილი პიჟამო და ხელთათმანები ეცვა — ევროპელთათვის დარი თუ არა, არცთუ ავდარი უდაბნოელისთვის, ეტყობა კატასტროფული ყინვა იყო.

შემდეგ ჟურნალისტებმა იხილეს, თუ როგორ დარბის ჩემპიონი დილაობით სამეფო ტყეში 18 კილომეტრს, მაიმუნებისა და სადღაც სიღრმიდან მოღწეული რომელიღაც მხეცის ღრიალის თანხლებით. სხვათა შორის, თბილი პიჟამოსგან განსხვავებით ეს კროსი მათ არ გაკვირვებიათ. თუმცა, გაკვირვება ბინდში ნარბენმა 45 წამში 20x300 მეტრმა და ზღვის დონიდან 2 000 მეტრზე გაქცევ-გამოქცევამ მაინც გამოიწვია.

აი, ასე ვარჯიშობს მედლების კოლექციონერი, რომელიც შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში 20 წლის მეუღლეს, ნაჯოუა ლაჰბილს მხოლოდ უქმეებზე ხედავს. ცნობისთვის: ნაჯოუა ლაჰბილი გახლავთ მაროკოს პირველი მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის შვილიშვილი, ახაუაინეს უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც ამჟამად სასწავლებლის ტერიტორიაზე ცხოვრობს, თუმცა ცალკე კოტეჯში თუ საერთო საცხოვრებელში, ბოდიში და, ვერ მოგახსენებთ. აქვე საიდუმლოდ გეტყვით, რომ ათენის ოლიმპიადამდე მთელი ორი თვის განმავლობაში ცოლ-ქმარს ერთმანეთი არ უნახავს.

ალბათ, გაინტერესებთ, როგორ გაიცნო ელ გურუჯიმ მომავალი მეუღლე. ძალიან არაბულად: ქუჩაში დაინახა, მოეწონა და... მის მშობლებთან გავარდა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. ერთ კვირაში ნაჯოუამ თანხმობა შემოუთვალა და მხოლოდ ამის მერე გასცა ქალ-ვაჟმა პირველად ხმა ერთმანეთს. ჰიჩამსა და ნაჯოუს გოგონა შეეძინათ.

მაგრამ მოხდა უცნაური რამ, ქალიშვილის გაჩენა და ზედიზედ 29 გარბენის მოგების შემდეგ დამარცხება ერთი იყო, რასაც რომში „გოლდენ ლიგის" გარბენში სრულიად სამარცხვინო მერვე ადგილი მოჰყვა. მიზეზი: ზოგის თქმით მოტივაციის დაკარგვა, ზოგის თქმით ვარჯიშებით გადაღლა. ამხელა სპორტსმენს ექიმთანაც კი დასჭირდა მისვლა: ღამობით ეღვიძებოდა და ფანჯარას აღებდა, ჰაერს ითხოვდა.

„ვფიქრობ, ეს უფრო ფსიქოლოგიური პრობლემები იყო — ამბობს ზემოხსენებული მწვრთნელი ქადა, — წარმოიდგინეთ, იმხანად მას მხოლოდ ათენზე შეეძლო ფიქრი. ეს საშინელება იყო. მართალია, ხუთი-ექვსი წლით ადრე ჰიჩამს ფსიქოლოგიური პრობლემები უკვე გამოეცალა, მაგრამ რაც მაშინ ხდებოდა, მეტისმეტი გახლდათ.

თავად ელ გურუჯი ასე იგონებს: „გიჟივით ვვარჯიშობდი და მიუხედავად ამისა, ვგრძნობდი, რომ საკუთარი თავის რწმენა მაინც მაკლდა".

და იცით, რამ განმუხტა ყველაფერი? ტულუზიდან მიღებულმა ერთმა წერილმა. ძმაკაცი წერდა:

„1997 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ათენმა მძლეოსნობის პრინცი აღმოაჩინა, 2004-ში, ოლიმპიადაზე, იგივე ათენი მძლეოსნობის მეფეს აღმოაჩენს".

ვითომ რაიმე განსაკუთრებულია ამ სიტყვებში? ორჯერ რომ არის ათენი ნახსენები ის?

არავინ იცის. ათენმა კი მართლაც აღმოაჩინა მეფე!

**ტუტა სიხარულიძე**

# დასჯილი კაცის დიდი სიხარული

## ტანოუ და კენტერისი უდანაშაულონი ყოფილან

**მაშ ასე**, ბერძნული სპორტის შეფებმა თანამემამულე სპრინტერებს, კოსტას კენტერისს და კატერინა ტანოუს ყველა ბრალდება მოუხსნეს, ბრალდებები კი სამი დოპინგ-კონტროლის გაცდენას ეხებოდა და ამ სამიდან ერთი, ბოლო, არც მეტი, არც ნაკლები, ათენის ოლიმპიადაზე მოხდა.

და პირდაპირ ვთქვათ — შეფების გადაწყვეტილებამ დიდი გაოცება გამოიწვია. მსოფლიოს მძლეოსნობის მმართველმა ორგანიზაციამ IAAF-მა მოკლე ოფიციალურ განცხადებაში მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ხოლო შემდეგ რას მოიმოქმედებს, ჯერ უცნობია. შეარჩენს კენტერისს და ტანოუს? ასე მშვიდად შეხედავს, როგორ გამოვა წყვილი სარბენ ბილიკზე?

საბერძნეთის მძლეოსნობის ფედერაციამ კი ყველაფერი მწვრთნელს, ხრისტოს ცეკოსს დააბრალა და ოთხი წლით საქმიანობა აუკრძალა.

შეგახსენებთ, 31 წლის კენტერისი, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე ჩემპიონი გახლდათ 200 მეტრზე რბენაში, ხოლო 30 წლის ტანოუ 100 მეტრზე მეორე იყო. თუ მათ განზრახ დოპინგ-გაცდენები დაუმტკიცდებოდათ, ორი წლით მოუწევდათ სპორტს ჩამოშორება. მძლეოსნურ წრეებში ამბობენ, რომ 1988 წელს, სეულის ოლიმპიადაზე 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებულს. ბენ ჯონსონის გამოჭერის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში ასეთი მასშტაბური დოპინგ სკანდალი არ ყოფილაო.





„ასეთმა გადაწყვეტილებამ ძალიან გამაოცა — თავის მხრივ განაცხადა IAAF-ის პრეს-წარმომადგენელმა ნიკ დევისმა — ჩვენ ჯერ დავიცდით, დაველოდებით ამ საქმესთან დაკავშირებულ საბუთებს, ინგლისურად ვთარგმნით და განვიხილავთ".

მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს შეფი დიკ პაუნდი:

„ვერდიქტი აშკარად არ ჟღერს დამაჯერებლად. ჩვენ, ჩვენის მხრივ იააფს დავუცდით, რადგან პირველი დარტყმა ამ ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს. თუ ოფიციალური განცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი ძალიან ბედნიერები არ უნდა იყვნენ. ერთი სიტყვით, დავუცდით და გადავწყვეტთ, მივმართოთ თუ არა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს".

შეგახსენებთ, რომ კოსტას კენტერისმა და კატერინა ტანოუმ ოლიმპიურ დოპინგ-კონტროლის გაცდენის მიზეზად მოტოავარია დაასახელეს და იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს მოტივაცია გამოგონილია, სინამდვილეში კი არაფერი მომხდარა. ამ საქმეს საბერძნეთის პროკურატურა იძიებს.

დაბოლოს ნათელი მოვფინოთ თუ რა დააბრალეს მწვრთნელს, ხრისტოს ცეკოსს.

კოსტას პანაგოპულოსი, ათენის ოლიმპიადის სადისციპლინო კომიტეტის შეფი:

„ჩვენი გადაწყვეტილების თანახმად, სპორტსმენები უდანაშაულონი არიან. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მათ ბატონმა ცეკოსმა არ შეატყობინა დოპინგ კონტროლის შესახებ".

ხოლო ბატონმა ცეკოსმა საბერძნეთის ტელევიზიას განუცხადა:

„გული არაფერზე მწყდება. რას გავაკეთებ მომავალში ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ მიხარია, რომ ბერძენი სპორტსმენები გაამართლეს და მათ ქვეყნისთვის კიდევ შეუძლიათ წარმატების მოტანა".

**პაპუნა კედია**

# თვრამეტწლიანები საუცხოოდ დაეწყვნენ

**გუშინ** ჭადრაკის სახლში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი 18-წლამდელ მოზარდთა შორის. ვაჟებში პირველი ადგილი თორნიკე სანიკიძემ დაიკავა, რომელიც თითქმის მთელი შეჯიბრის განმავლობაში ლიდერობდა. მეორე ადგილზე შოთა აზალაძე გავიდა.

გოგონებში საუცხოოდ იასპარეზა მაკა ფურცელაძემ, რომელმაც ბოლოსწინა ტურში გაინაღდა პირველი ადგილი. გადამწყვეტ ტურში გასარკვევი დარჩა მხოლოდ ვერცხლის მედალოსნის ვინაობა, ამ პოზიციაზე კი ორი მონაწილე — ნინო ბაციაშვილი და მირანდა მიქაძე აცხადებდა პრეტენზიას. საბოლოოდ მეორეობა ბაციაშვილს ხვდა წილად.

ჩემპიონატში პირველ ადგილზე გასულები ზაფხულში საფრანგეთში თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში მსოფლიოს ჩემპიონატში ითამაშებენ, ვერცხლის პრიზიორები კი სექტემბერში ევროპისაზე გამოვლენ.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 - 31 მარტი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 1:0 | 0,5:0,5 |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 0:1 | 0,5:0,5 |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0:1 | 0:1 |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0 | 1:0 |
| ლუკ ვანველი (ჰოლანდია) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | 0:1 |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | 0,5:0,5 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

# ანანდმა დაფაზედაუხედავი მოიგო



ვიშვანათან ანანდი მეუღლითურთ

**კაზინოებით** განთქმული ქალაქი მონტე კარლო „ამბერის" ტურნირს მეთოთხმეტედ მასპინძლობს. გათამაშებაში მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატები მონაწილეობენ და სხვა ტურნირებისგან განსხვავებული ფორმატით მიმდინარეობს. იქ დიდოსტატები ორ პარტიას თამაშობენ, სწრაფს და დაფაზედაუხედავს, საბოლოო გამარჯვებულს კი ორივეს შედეგი გამოავლენს. ტურნირის საპრიზო ფონდი 193 ათასი ევროა და ჰოლანდიელი მეცენატის იოპ ვან ოსტერის თაოსნობით მიმდინარეობს.

ტურნირი ყოჩაღად დაიწყო ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა. აზიელმა მოჭადრაკემ წლეულს ორი სუპერტურნირი ჩააგდო და სახელის დაბრუნებას ახლა ამ პატარა სამეფოში ცდილობს. თანაც ანანდს ეს ტურნირი სამჯერ მოუგია და აქაური სიტუაცია მისთვის უცხო არ არის.

ორი ტურის შემდეგ ანანდი დაფაზედაუხედავ და სწრაფი ტურნირების ორივე ცხრილს მაქსიმალური შედეგით ლიდერობს და შემაჯამებელ ცხრილში უახლოესი მდევარი რუსი ევგენი ბარეევი ნახევარი ქულით ჩამორჩება.

პირველ ტურში ინდოელმა ვეფხვმა ესპანეთის სახელით მოთამაშე ალექსეი შიროვი შემუსრა, მეორეში კი ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი. სლავი დიდოსტატი, რომელმაც ორი კვირის წინ კინაღამ ლინარესის სუპერტურნირი მოიგო, თავის ჩვეულ, დაწყობილ თამაშს ვერ აჩვენებს და 0,5 ქულით შეუფერებელ ბოლო ადგილზე იმყოფება.

ინდოელისა და ბულგარელის ბრძოლა ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა მეორე ტურში. პირველ დაფაზედაუხედავი შეხვედრაში, სადაც ანანდი შავი ფიგურებით თამაშობდა, მეტოქეებმა ძველინდური, ნიმცოვიჩის დაცვა გაითამაშეს და ჯახი 45-ე სვლაზე შავების გამარჯვებით დასრულდა. მეორე სწრაფში კი თეთრებით მოთამაშე ანანდმა რულ ლიპესის პარტია გაითამაშა და მეტოქის გასატეხად ერთით მეტი სლვა დასჭირდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2/2/4 ქულა |
| 2. | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 2/1,5/3,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 1/1,5/2,5 |
| 4. | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 2/0,5/2,5 |
| 5. | ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 1/1,5/2,5 |
| 6. | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1/1/2 |
| 7. | ალექსანდერ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1/1/2 |

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

# ფიშერი ვერ გაიყვეს

**მსოფლიოს** ექს-ჩემპიონი ბობი ფიშერი კვლავ იაპონიის ციხეშია. გენიოს მოჭადრაკეს, რომელიც აშშ-ს მოქალაქეა, ცოტა ხნის წინ ისლანდიის მთავრობამ თავის ქვეყანაში თავშესაფარი მისცა, თუმც იაპონია ტუსაღის გაშვებას არ ჩქარობს.



„თუ ისლანდიის მთავრობა ფიშერს მოქალაქეობას მისცემს, მის დეპორტაციაზე არავითარი პრობლემა არ გვექნება" — განაცხადა იაპონიის საემიგრაციო სამსახურის უფროსმა მასახარუ მიურამ. იგივე აზრისაა იაპონიის ოპოზიციური პარტიის, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელი მიძუხო ფუკუსიმა. იგი აცხადებს, ამ საქმით ამერიკის შეერთებული შტატებიც დიდად არის დაინტერესებული და საქმე ამიტომ ჯანჯლდებაო.

„იგი სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, უკვე გაშვებული იქნებოდა" — ამბობს ფუკუსიმო.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ ფიშერზე ძებნა 1992 წელს გამოაცხადა, რადგან დიდოსტატმა იუგოსლავიაში საჩვენებელი მატჩი ბორის სპასკისთან ითამაშა მაშინ, როცა იმ დროისთვის იუგოსლავიაზე ეკონომიკური სანქციები იყო დაწესებული და მისი საქციელი კანონის დარღვევად ჩაითვალა. იმ თამაშისთვის ფიშერმა 3 მილიონი დოლარი მიიღო.

„ჩვენი კანონებით, დაკავებული პიროვნება თავის ქვეყანას უნდა გადავცეთ" — განაცხადა მიურამ. ფიშერის ისლანდიაში დეპორტაციას მხარს უჭერს დემოკრატიული პარტიის წევრი, პარლამენტარი კაძუია სინბა.

„ფიშერის ადვოკატმა მასაკო სუძუკიმ თავისი კლიენტისთვის ისლანდიიდან გამოგზავნილი პასპორტი უკვე მიიღო და წესით იგი უნდა გაუშვან" — აღნიშნა სინბამ, თუმც მიურა გამონაკლისს არ აკეთებს და ტუსაღს ევროპაში არ უშვებს.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნობუტაკა მაჩიმურა კი აღშფოთებულია ბოლო დროს მათი მისამართით გამოთქმული განცხადებებით და აცხადებს, რომ ფიშერი აშშ-ის მოთხოვნებით არ არის პატიმრობაში.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იაპონიის ციხეში შარშანდელი ივლისიდანაა, რადგან ვადაგასული პასპორტით ნორიტას აეროპორტიდან უცხოეთში ცდილობდა გაქცევას.

აშშ-ში დეპორტაციის შემთხვევაში გენიალურ მოჭადრაკეს ათწლიანი ციხე და გვარიანი ჯარიმა ელის.

**ლაშა გეგეჭკორი**





გარი ბეტმენი შეტევაზე გადავიდა

# აჟიოტაჟის, შანტაჟის და თავში ქვის დახლაც

**როგორც ჩანს,** ნჰლ-ის მომდევნო სეზონის ბედით გაურკვეველია, ეგებ ის პრობლემები, რომლებსაც ლიგა წლეულს წააწყდა, მოგონილი იყოს იმასთან შედარებით, რაც მომავალში მოხდება. ერთის მხრივ, ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ მისთვის მთავარი სეზონის დროულად დაწყებაა, რისთვისაც ყველაფერს იღონებს.

ნჰლ-ის მესვეურები ცდილობენ, მოლაპარაკების პროცესი დააჩქარონ და საკითხი დროულად გადაწყვიტონ, რათა აპრილ-მაისში მაინც დარეგულირდეს და ივნისის ტრადიციული დრაფტი არ ჩაფლავდეს.

ახალბედების აყვანას ამჯერად უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ექსპერტთა აზრით, სწორედ ამ დრაფტზე უნდა აირჩეს გრეცკის და ლემიეს შემდეგ ყველაზე ნიჭიერი ნორჩი სიდნი კროსბი.

18 წლის ვუნდერკინდი ჯერჯერობით ნამდვილად ამართლებს იმედებს და თავის იუნიორულ ლიგაში რეკორდებს ამყარებს. მაგრამ მისი აგენტების თქმით, თუ ნჰლ უახლოეს ხანში არ მოაწესრიგებს კონფლიქტს, კროსბი სხვა ვარიანტების განხილვას დაიწყებს. ვითარება კი იმით რთულდება, რომ ამ სავარაუდო ვარიანტებს შორის არა მარტო ევროპა, არამედ მსოფლიოს ჰოკეის ასოციაცია, ვჰა (WHA) ფიგურირებს. მოგეხსენებათ, ლეგენდარული ბობი ჰალის მიერ რეანიმირებული ლიგა ჯერ კიდევ შარშან აპირებდა სეზონის დაწყებას, მაგრამ შემდეგ პროცესი ფინანსური პრობლემების გამო შეფერხდა. ამჟამად ვჰა-ელები კიდევ სერიოზულად არიან განწყობილნი. 20 მაისიდან 2 ივნისამდე ასოციაცია საპრეზენტაციო ტურნირს ჩაატარებს, რომელშიც ნჰლ-ელთაგან შექმნილი ორი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ყოველი მოთამაშეს 20 000 დოლარს გადაუხდიან, ხოლო გამარჯვებულ გუნდს 2-მილიონიანი პრიზი გადაეცემა. უკვე ცნობილია, რომ აქ სტივ აიზერმანსა და ჯერემი რენიკს ვიხილავთ, თანაც ეს უკანასკნელი თვით ტურნირის ორგანიზაციაშიც დიდ როლს თამაშობს. ამას ვჰა-ს დრაფტი უნდა მოჰყვეს და სულაც არ არის გამორიცხული კროსბის აყვანა, ეს კი ნჰლ-სთვის დიდი დარტყმა იქნება. ერთი სიტყვით, დრო აღარ ითმენს და ლიგა დიდ აჟიოტაჟშია. ბოლო ათი დღის განმავლობაში წარმომადგენელთა შორის ლიგის კომისიონერმა ოპონენტებს ორი ვარიანტი შესთავაზა. ერთის მიხედვით 37, 5 მილიონ დოლარიანი სახელფასო ჭერის შემოღებაა განზრახული, ხოლო მეორე შემთხვევაში ბეტმენი კვლავ სთავაზობს გუნდების შემოსავლების და ხელფასების ეგრეთ წოდებულ LINKAGE-ს, ანუ „დაბმას". მისი ინიციატივის თანახმად, შემოსავლების არაუმეტეს 54 პროცენტი უნდა დაიხარჯოს მოთამაშეთა ჯამაგირებზე. როგორც იტყვიან, ახლა მოთამაშეებმა თავში ქვა იხალონ.

შეგახსენებთ, რომ სეზონის გაუქმების წინა დღეს, როცა ლიგა ცაიტნოტში იყო, ბეტმენმა 42, 5 მილიონიანი ზღვარი შესთავაზა ოპონენტებს და LINKAGE-ზეც უარი თქვა, მაგრამ პროფკავშირი გაჯიუტდა და კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. ახლა ბეტმენი შეტევაზე გადავიდა და, როგორც ამბობენ, პოზიციების უფრო გამკაცრებაა მოსალოდნელი. 20 აპრილს ნჰლ-ის კლუბების ბოსების კრება უნდა გაიმართოს და, სავარაუდოდ, თუ მანამდე პროფკავშირი არ გატყდება, ლიგა ასოციაციის დაშლის და შემცვლელი მოთამაშეების გამოყენების ინიციატივით გამოვა. ცხადია, ლიგის ახალმა წინადადებებმა სულაც არ აღაფრთოვანა ნჰლპა-ს მოხელეები. მართალია, მათ ჯერ ოფიციალური უარი არ უთქვამთ, მაგრამ პირველი კომენტარებიდან ყველაფერი ნათელია.

„იმაში, რასაც დღეს გვთავაზობენ, ახალი არაფერია. მეტსაც გეტყვით, ეს წინადადებები უარესია იმაზე, რაც ჩვენ უკვე უარვყავით" — თქვა ასოციაციის უფროსმა დირექტორმა ტედ სასკინმა.

თავის მხრივ, ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ გააფრთხილა ოპონენტები, რომ პირველი ვარიანტის ალბათობა ყოველდღიურად მცირდება, ლიგა იძულებული გახდება, მეორე სქემა გამოიყენოს და ხელფასები და შემოსავლები ერთმანეთს დაუკავშიროს.

ასე რომ, ლიგა აღარ ხუმრობს და, შეიძლება ითქვას, უკვე შანტაჟსაც მიმართავს (ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტთა ერთი ნაწილი ასე ფიქრობს). ასოციაციის ბოსის გუდენაუს მტკიცე და შეუპოვარი ხასიათიდან გამომდინარე, ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს თვეებში დიდი ვნებათაღელვა გველის და, ეგებ, საქმე სასამართლომდეც კი მივიდეს.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასრულდა



REUTERS მოსკოვიდან

მოსკოვში დასრულდა ფიგურული სრიალის მსოფლიო ჩემპიონატი და დიდი საჩვენებელი გალაც გაიმართა. ოქროსმედალოსანი ირინა სლუცკაია ქალ-კატას განასახიერებდა. ამერიკელი ვერცხლისმედალოსნები ტანიტ ბელბინი და ბენ აგოსტო — 50-იან წლებს. რუსებს იულია ობერტასს და სერგეი სლავნოვს კი უფრო კლასიკური აერჩიათ.



REUTERS მოსკოვიდან





REUTERS მელბურნიდან

# მეზობლები

„ანგელოზთა გოლფ კლუბი“ მელბურნში, ეროვნული პარკის ახლოს მდებარეობს. ამიტომ საკვირველი სულაც არ არის, რომ ბურთი კენგურუთა ჯგროებს გადაუფრენს ხოლმე.

# ბიატლონის პირზე

ციმბირში, ხანტი მანსიისკში კვლავაც ბიატლონის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. აბა, რაღა ხანტი მანსიისკია, თუ გზის პირზე ან ჯარისკაცი არა დგას, ან ირემი. ირემი უკეთესია.



REUTERS ხანტი მანსიისკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლალი ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, ლევან კილაურიძე, თამარ მოლოკვარიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟალია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზეინაბ მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წვერიკელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge